# ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№57 (9888) 2025 წლის 18 აპრილი, პარასკევი


## რახან სიმართლე დავივიწყეთ, (3) ცხოვრებამ დაგვსაჯა —

დასჯა არ არის სააკაშვილი, ზურაბიშვილი, ბურჭულაძე?!

## ჩვენ ერთმანეთს რა არ უნდა ვაპატიოთ, როცა თავად ქრისტემ ჯვარცმა გვაპატია!

## სტრატეგიული მეზობლობა და პარტნიორობაც ასეთი უნდა! (2)

## დედაქალაქი აღდგომისთვის (4) ემზადება

თბილისის მთავრობის თვალსაწიერი



## მეგრელთა საქმე (6)

ზარი ჩამოირეკა. დადგენილებას ი. სტალინმა ხელი მოაწერა და უმალ იქცა მრისხანე იარაღად, რომელსაც მრავალი ადამიანის ბედი უნდა გაემრუდებინა...

## საქართველომ (7) საკუთარ თავს უნდა მიხედოს!

შენა ხარ ჩემი
ჯილდოც, სასჯელიც,
გულზე ახლოს ხარ და
ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო,
ჩემო მტანჯველო,
დაულეველო
სამშობლოვ ჩემო!
შენთან ვარ, მაგრამ
მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს
საჭმელს მშიერი
და ამ პატარა
მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნელად
ვარ ბედნიერი.

ოთარ ჭილაძე

## ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია...

(10)

## იგი სერგეი ბუბკას ავარჯიშებდა

# სტრატეგიული მეზობლობაც და პარტნიორობაც ასეთი უნდა!

მიხეილ ყაველაშვილი:

## პრეზიდენტი ალიევიც ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ სამაგალითონი და გვაქვს რესურსი, ვაჩვენოთ ყველას, როგორი განვითარება შეუძლია ჩვენს რეგიონს

**სამაგალითო ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანთან. ილჰამ ალიევიც ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ სამაგალითო და გვაქვს რესურსი, ვაჩვენოთ ყველას, როგორი განვითარება შეუძლია ჩვენს რეგიონს,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა და აზერბაიჯანში ვიზიტი შეაჯამა.

**„წინასწარვე დავაანონსეთ, რომ პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტი უნდა ყოფილიყო ჩვენს რეგიონში. მოხარული ვარ, რომ ეს ვიზიტი შედგა აზერბაიჯანში. როგორც მოგეხსენებათ, გვქონდა მაღალი დონის შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან და მინისტრებთან, დღეს პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და დავასრულეთ მილი-მეჯლისში, ქალბატონ გაფაროვასთან შეხვედრით. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ალბათ თვალშისაცემია, ძალიან მაღალ დონეზეა“...**

როგორც მიხეილ ყაველაშვილმა აღნიშნა, ეკონომიკის, სავაჭრო, ენერგეტიკული, კულტურული საკითხების კუთხით და იმ პოლიტიკური ვითარების ფონზე, რაც დღეს მსოფლიოშია, არსებობს იმისი თქმის საფუძველი, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა სამაგალითოა.

**„ყველას შეეძლება, იცოდეს, რას ნიშნავს სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობა, მეგობრობა ორ თანასწორ ქვეყანას შორის, რას ნიშნავს ურთიერთპატივისცემა. ეს ყველაფერი გამოხატული იყო ჩემს ვიზიტთან დაკავშირებით ყველა დონეზე. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ ასეთი თბილი, ნაყოფიერი დახვედრისა და მასპინძლობისთვის.**

**ნამდვილად სამაგალითო ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანთან. ვისაუბრეთ რეგიონზე და სომხეთთან დაკავშირებითაც. ვიმედოვნებთ,**



**გრძელვადიან პროცესშიც ყველა დავრწმუნდებით, რომ ჩვენი რეგიონისთვის აუცილებელია გრძელვადიანი სტაბილური, მშვიდობიანი გარემო. ამაში გულწრფელი ვარ. ილჰამ ალიევთან როცა საუბარი მქონდა, ზუსტად იგივენაირად ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ წარმოსაჩენი, სამაგალითო და გვაქვს რესურსი, ვაჩვენოთ ყველას, როგორი ურთიერთობა, განვითარება შეუძლია ჩვენს რეგიონს“,** – დასძინა მიხეილ ყაველაშვილმა.

ილჰამ ალიევი:

## ევროპის ენერგოუსაფრთხოებაზე საუბარი საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია

**საქართველო-აზერბაიჯანს გვაერთიანებს სხვადასხვა პროექტი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ეს არის ნავთობის და გაზის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების პროექტები. დიდი მნიშვნელობის პროექტებია და არამარტო სამხრეთ კავკასიის, ევრაზიის სატრანსპორტო რუკას ქმნის,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** საქართველოს პრეზიდენტთან **მიხეილ ყაველაშვილთან** ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„დღეს ჩვენ თუ ვისაუბრებთ ევროპის ენერგოუსაფრთხოებაზე, ეს წარმოუდგენელია საქართველოს გარეშე. აზერბაიჯანი საქართველოს გავლით 12 ქვეყანას აწვდის თავის ნავთობსა და გაზს. ეს ხდება საქართველოს ტერიტორიის გავლით. სატრანსპორტო კომუნიკაციების სფეროებში გვაქვს პორტების, გზების ინფრასტრუქტურული პროექტები. შუა დერეფნის განუყოფელი ნაწილია ეს ჩვენი პროექტები. დღეს სამხრეთ კავკასიაში თუ ვისაუბრებთ შუა დერეფანზე, ეს აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი დერეფანია, და ჩვენი ქვეყნების ტერიტორიებზე გამავალი ტვირთების ოდენობა იზრდება“.**

ნომრის ციტატები

## ეს ხდება გერმანიაშიც კი, ხალხო, გერმანიაში!..

**– საზოგადოებას შევახსენებ, რომ რამდენიმე თვის წინ გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდა ზურაბ ადეიშვილი, რომელიც, როგორც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელი, ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა და ბუნდესტაგის სტუმრების ლოჟაშიც კი ვიხილეთ.**



ძებნილი ადეიშვილი ბუნდესტაგში

თუკი, ვინმეს გამოეპარა, აქ არის ზურაბ ადეიშვილის მიერ ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილი ის დანაშაულები, რომლებზეც უკვე დადგა საბოლოო განაჩენი:

**კოგა დავითაშვილის გატაცების და ცემის საქმე** – 6 წელი;
**ციხეებში წამების საქმე** – 4 წელი და 6 თვე;
**ღვინის კომპანია აკურას საქმე** – 1 წელი და 6 თვე;
**ტვ იბერიას საქმე** – 1 წელი და 6 თვე;
**ბანკი ქართუს გაკოტრების საქმე** – 5 წელი და 3 თვე.

(ალბათ, საინტერესო დამთხვევაა, რომ ადამინის უფლებების დამრღვევ ამ ბოლო დანაშაულში, თავისი მონაწილეობა აღიარებული აქვს გიორგი ისაკაძეს, იმ bm.ge-ის მეპატრონეს და მთავარ რედაქტორს, რომელთან ინტერვიუშიც ელჩმა ეს განაცხადა)



**გერმანიის მთავრობას ადამიანის უფლებების დამრღვევების მიმართ გულწრფელი მიუღებლობა რომ ჰქონოდა, ოფიციალურად ან არ უმასპინძლებდა, ან თუ ეს მასპინძლობა დაუდევრობა იყო, ამ სკანდალის შემდეგ მაინც, გერმანიაში შესვლას აუკრძალავდა წამების და რეკეტის სისტემის ერთ-ერთ მთავარ დადასტურებულ შემოქმედს! სწორედ ასეთი მაგალითები აჩვენებს, რომ სანქციები თუ სავიზო შეზღუდვები, პოლიტიკური ვენდეტის და გავლენის არაკეთილსინდისიერად მოპოვების იარაღად არის ქცეული და შორსაა ელემენტარული სამართლებრივი პრინციპების პატივისცემისგან, რაც ღრმად არაევროპულია“.**

შალვა პაპუაშვილი

ბექა დავითულიანი:

## დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად დაახლოებით 22 ქვეყანაში იმართება მასშტაბური ღონისძიებები

**დიახ კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, დაახლოებით 22 ქვეყანაში იმართება მასშტაბური ღონისძიებები,** – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ, **ბექა დავითულიანმა.**



საერთო ჯამში საზღვარგარეთ დაგეგმილი ამ ღონისძიებებისთვის, გათვალისწინებულია 5 მილიონზე მეტი ლარი. **„მგონი, ძალიან ღირსეულად და ფართოდ ვიქნებით წარმოდგენილები წელს საერთაშორისო ასპარეზზე“,** – აღნიშნა **დავითულიანმა.**

## ჩინური ენა ქართულ სკოლებში

**საზოგადოების ინფორმირების მიზნით გაცნობებთ, რომ, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, პირველი უცხოური ენა, რომელიც სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის და ისწავლება პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით, არის ინგლისური ენა.**

**მეორე უცხო ენის სწავლება იწყება მე-5 კლასიდან და ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ენა, რომელსაც მოსწავლე-მშობელი საკუთარი სურვილით აირჩევს. სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს ასარჩევად შესთავაზოს, სულ მცირე, ორი უცხო ენა. დღესდღეობით სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ ფრანგული, გერმანული, იტალიური, თურქული და სხვა ენები.**



**ნებისმიერი ენის დასწავლის შემთხვევაში სამინისტრო ვალდებულია, მოემზადოს შესაბამისად – დაამტკიცოს პროგრამები, შეიმუშაოს სახელმძღვანელოები, გადაამზადოს მასწავლებლები და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის სტანდარტის შესაბამისად წარმართვა. ამ ეტაპზე ჩინური ენა, დამატებითი მომსახურების სახით, 15 სკოლაში ისწავლება. ვინაიდან მის შესწავლაზე მოთხოვნა მზარდია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინოლოგიის კათედრასთან თანამშრომლობით, დაიწყება მუშაობა შესაბამისი სტანდარტის შექმნაზე.**

**ჩვენი მიზანია, შევთავაზოთ მოსწავლეებს მრავალფეროვანი არჩევანი და, ქართული ენის ცოდნის გაძლიერების პარალელურად, ხელი შევუწყოთ მოზარდებში, სულ მცირე, ორ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას,** – განათლების სამინისტრო

## დავით ზარდიაშვილი ამხელს!



# რახან სიმართლე დავივიწყეთ, ცხოვრებამ დაგვსაჯა —

## დასჯა არ არის სააკაშვილი, ზურაბიშვილი, ბურჭულაძე?!







**ჩვენს სასჯელადაა მოვლენილი პაატა ბურჭულაძეც და ეს ოპოზიციაც. განა ვართ იმის ღირსი, რომ ასეთი გათახსირებული ოპოზიცია გვყავდეს? საკუთარ თავში უნდა ჩავიხედოთ და დავსვათ კითხვა — რატომ დაგვემართა ეს ყველაფერი.**

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა რა მოტივები ამოძრავებდა სააკაშვილს და მის რეჟიმს, 2008 წლის ომი იყო წარმოუდგენელი, საარაკო ღალატი და ბუნებრივია, რომ მოღალატეებმა პასუხი უნდა აგონ სამართლის წინაშე. ანალიტიკოსი აცხადებს, რომ სააკაშვილს სჭირდებოდა განტევების ვაცი, ვინაიდან ჩადენილი იქნა ამაზრზენი ღალატი ქვეყნის წინააღმდეგ და ცეცხლის გახსნა ქართველ სამხედროებს დააბრალა.**

**FOR.GE დავით ზარდიაშვილს ესაუბრა.**

**— 36 წლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე უცნაური 9 აპრილი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი უფლებას არ აძლევდა მოქალაქეებს პატივი მიეგოთ გარდაცვლილებისთვის და უცნაურ ოპერაციას ხელმძღვანელობა პაატა ბურჭულაძე. ბატონო დავით, რა მოხდა 9 აპრილს, რა იყო რადიკალების მიზანი?**

— ეს არის უკიდურესი დეგრადაცია. დეკადენსი, სიტყვებიც არ მყოფნის, რა უნდა დაარქვა ამას. ეს არის სასწაული. პაატა ბურჭულაძე რომ გახდება ოპოზიციის ლიდერი, უკვე თავისთავად ნათელია და მკაფიოა, რა მდგომარეობაშია მთელი ეს ოპოზიცია, რომლებსაც საღი აზრის ნატამალი აღარ შერჩათ. რაც შეეხება იმას, რომ ცდილობდნენ ტერიტორიის ოკუპაციას და ადამიანებს არ უშვებდნენ იქ, რომ თავიანთი პატივისცემა გამოეხატათ 9 აპრილის ამ საკრალური დღისა და მისი მსხვერპლის მიმართ, ბუნებრივია, ამას ნაძირალობა ჰქვია — მეტი რა უნდა დაარქვა.

რასაკვირველია, იქ მისვლის უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი რწმენისა, პოლიტიკური კუთვნილებისა და რაც გინდა იყოს. ერთადერთი, რაც თავის დროზე გვაერთიანებდა, სწორედ, 9 აპრილი იყო და დამოკიდებულება ამ წმინდა დღის მიმართ. თუ ესეც არ იქნება ჩვენი გამაერთიანებელი აბა, სულ დავშლილვართ და ეგ არის. რა თქმა უნდა, ამას ვერ მიაღწევენ და ცდილობენ, გამოიწვიონ ახალი დაპირისპირება.

**— ამჯერად 9 აპრილის იგვლივ სცადეს ახალი დაპირისპირების გამოსწვევა, მაგრამ რატომ 9 აპრილი?**

— იმიტომ, რომ 9 აპრილის გარშემო დაპირისპირების კიდევ ახალი კერა გაჩნდეს. როცა ოპოზიცია ამ გზით ცდილობს პოლიტიკურ ბრძოლას, თუმცა პოლიტიკასთან ამას არაფერი კავშირი არ აქვს, ეს არის ელემენტარული უსაქციელობა, გარყვნილება, გათახსირება. ყველაზე მეტად მათ ქცევას შეესაბამება სიტყვა — გათახსირება, ბოლომდე წახდენა. აი, ამას გამოხატავს ეს პაატა ბურჭულაძე. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ის რუსული ბანია, თუ ვინაა. უდავოდ აქვს მუსიკალური მიღწევები და საამაყო უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ ყველაფერი წყალში გადაყარა. არც რუსული ბანია, არც ქართული ბანია და არც არაფერი არაა. ის არის ერთი გათახსირებული, საცოდავი პოლიტიკანი, სულ ეს არის, მეტი არაფერი.

**— იქნებ დადგა დრო, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, გმირს — გმირი, მოღალატეს — მოღალატე, დამნაშავეს — დამნაშავე. მაგალითად, როდესაც სალომე ზურაბიშვილი საუბრობს, რომ 9 აპრილს გარდაცვლილი ადამიანები არიან გმირები, ეს უდავოა, მაგრამ, როცა 9 აპრილს შეწირული გმირის ოჯახების ხელმოწერით წერილები გააგზავნეს მისი პრეზიდენტობის დროს ადმინისტრაციაში თხოვნით, რომ ამ ადამიანებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭებინა, ზურაბიშვილმა პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო მათი თხოვნა...**

— ეს დრო დიდი ხანია დამდგარია და საერთოდ, იმთავითვე ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და მართალი ცხოვრებაც მაგას ნიშნავს. რახან ეს სიმართლე დავივიწყეთ, ჩვენ გარკვეული პერიოდი ცხოვრებამ დაგვსაჯა. დასჯა არ არის, როდესაც ასეთი ადამიანები გვყავდა ქვეყნის პრეზიდენტები, როგორიც იყო სააკაშვილი, აგერ ზურაბიშვილი? ეს ჩვენი შეცდომების და ცოდვების ბრალია, თორემ ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ადამიანებს არა თუ პოლიტიკაში აჩერებენ, არამედ, საერთოდ, საჯარო სივრცეში ადგილი არ ექნებოდათ. როცა მათ ვუსმენ, ან ვუყურებ მათ მაგივრად მრცხვენია, ისეთ სისულელეებს და საოცრებებს აკეთებენ, გინდა სიტყვით, გინდა საქმით. ჩვენს სასჯელადაა მოვლენილი პაატა ბურჭულაძეც და ეს ოპოზიციაც. განა ვართ იმის ღირსი, რომ ასეთი გათახსირებული ოპოზიცია გვყავდეს? საკუთარ თავში უნდა ჩავიხედოთ და დავსვათ კითხვა — რატომ დაგვემართა ეს ყველაფერი.

**— ბატონი დავით, ალბათ, დაგისვამთ ეს კითხვა საკუთარი თავისთვის და პასუხიც გექნებათ გაცემული — რატომ მოგვივიდა და რა გვჭირს?**

— ალბათ, იმიტომ, რომ ის ადამიანები, ვინც 9 წლის განმავლობაში საოცრებებს სჩადიოდნენ, სათანადოდ არ იქნენ დასჯილი! აგერ, პარლამენტის საგამოძიებო კომისია ამას კიდევ ერთხელ გვაჩვენებს და გეთანხმებით, რომ ეს ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ყველაფერი ერთად თავმოყრილი, რასაც ვისმენთ, მართლაც შემზარავია. ასეთ შემზარავ საქციელებს ვინც სჩადიოდნენ, იმათ კიდევ ხმა მივეცით. რას ველოდებით ახლა — ეს ხომ გათახსირებაა, აბა რაა?! მაშინ უნდა შევეგუოთ, რომ ეს პაატა ბურჭულაძე, რომელიც ამბობს რუსული ბანი ვარო, საქართველოსთვისაც საამაყო იყო და, როცა ასეთი ადამიანი უკიდურესად სამარცხვინო ხდება, ასეთ სამარცხვინო საქციელს სჩადის, 9 აპრილს, ამ წმინდა დღეს ტერიტორიის ოკუპაციას ახდენს და ცდილობს, რომ გამოიწვიოს კიდევ ერთი საშინელი განხეთქილება ქართველ ხალხში, ეს რასაკვირველია არის გათახსირება და სასჯელი ჩვენთვის.

დადგა დრო, მართლაც განვსაჯოთ, სიმართლით ვიცხოვროთ, საქციელს და ადამიანის ქცევას დავარქვათ ის, რაც არის. ცოდვას — ცოდვა და მადლს — მადლი — სამართლიანობაც ეგ არის. სხვათა შორის არისტოტელე განმარტავდა — სამართლიანობაც ეს არის, რომ აწონ-დაწონო და ღირსეულად მიაგო, კარგსა — კარგი და ცუდს — ცუდი, ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც. დანარჩენი უკვე გულმოწყალების ამბავია.

დასჯა კი არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ შეფასება. ცოდვა უნდა იმხილებოდეს, ეს ცოდვილისთვის არის საუკეთესო გზა, რომ იქნებ რაღაცა ეშველოს ამ ცხოვრებაში. არ შეიძლება, წარმოუდგენელია ცოდვას უწოდო მადლი. ეს გამოიწვევს საშინელებას. ის ხალხი, ვინც დღეს პაატა ბურჭულაძის გვერდით დგას, რა თქმა უნდა, გათახსირების გზაზე დგას და ძალიან მძიმედ დაამთავრებს. მათ ეს სასჯელი არ ასცდებათ.

**— რაც შეეხება საგამოძიებო კომისიას და კონკრეტულად აგვისტოს ომის ნაწილს, რადიკალური ოპოზიცია აცხადებს, რომ კომისიის მიზანია გმირი სამხედროების დასჯა. კომისიამ გაასაჯაროვა ევროსაბჭოს ცნობილი N1633 რეზოლუცია, სადაც სამხედროებს აბრალებენ ომის დაწყებას. რეზოლუციას ყველა ევროპულმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველოდან „ნაციონალურმა მოძრაობამ" და ყოფილმა დეპუტატმა გიორგი თარგამაძემ ხელი მოაწერეს. როგორ ფიქრობთ, რატომ დააბრალა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ომის დაწყება ქართველ სამხედროებს?**

— სააკაშვილს სჭირდებოდა განტევების ვაცი, ვინაიდან ჩადენილი იქნა ამაზრზენი ღალატი ქვეყნის წინააღმდეგ. პირველ რიგში, იმიტომ რომ საქართველო შევიდა ისეთ ომში, რომელიც თავიდან ვერ აიცილა და რომელიც იმთავითვე ცნობილი იყო, რომ კატასტროფით დასრულდებოდა და დასრულდა კიდეც. ქართველებმა დაკარგეს სამკვიდრო, საქართველომ დაკარგა ტერიტორიული მთლიანობა, მოხდა ტერიტორიების ოკუპაცია და კიდევ ერთი ძალიან მძიმე შედეგი ამ ომისა არის ის, რომ ჩვენ გვაქვს მუდმივი ომის მდგომარეობა რუსეთთან, უდიდეს მეზობელთან. პრაქტიკულად, გამოუვალი ჩიხი გვაქვს.

სანამ რუსეთი უკან არ წაიღებს თავის ამ აღიარებას და ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას არ მოახდენს, მანამდე არავითარი საშუალება არ გვაქვს, რაიმე ნორმალური ურთიერთობა აღვადგინოთ ამ ქვეყანასთან. იმიტომ, რომ არსებობს კაზუსბელი, ე.ი. ყველაზე დიდი უბედურება, რაც ჩაიდინა სააკაშვილმა. საქართველოს არ აქვს არც იმის რესურსი, სურვილი და არც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, რომ რუსეთთან იყოს მუდმივად სამტრო-სასიცოცხლო დამოკიდებულებაში. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგეს და საბოლოოდ ასეთი მტრობა ჩვენი ბედისწერა გახდეს, ეს წარმოუდგენელია!..

ქართველი სამხედროები გამოიყენეს როგორც ფარი, ანუ ძალა, ვინც პასუხისმგებლობას აიღებდა 7 აგვისტოს ღამით ცეცხლის გახსნაზე. არადა, პირველ რიგში, სააკაშვილი იყო უმაღლესი მთავარსარდალი და მისი პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ სწორედაც ცეცხლის გახსნა, ეს ყველაფერი არის შეფასებული. მას, უბრალოდ, გამოსავალი არ ჰქონდა, ფაქტის წინაშე იდგა.

როდესაც ევროსაბჭოში მოუსმინეს საგარეო საქმეთა მინისტრს და ჰკითხეს — იცოდით წინასწარ, რომ თქვენს ნაბიჯს მოჰყვებოდა ფართომასშტაბიანი აგრესია და საქართველოს ოკუპაცია, შეგეძლოთ ამის წინასწარ წარმოდგენაო — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა **ეკა ტყეშელაშვილმა —** დიახ, ვიცოდითო!!! გამაოგნებელი იყო ეს პასუხი. ანუ, მათ იცოდნენ რაც მოხდებოდა და გააკეთეს ის, რაც გააკეთეს, როცა ჰქონდათ ყველანაირი საშუალება, რომ ეს ომი თავიდან აეცილებინათ და მოხერხდა კიდეც ეს 2004-2007 წლებში.

მუდმივად იყო მცდელობა რუსეთის მხრიდან და სხვათა შორის, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლებაც არ აკლებდა ამას ხელს, რომ მომხდარიყო ამ კონფლიქტის ბოლომდე ესკალაცია და ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო. რა თქმა უნდა, ეს წახალისებული იყო დასავლეთის მიერ. რატომ? — იმიტომ, რომ მათი მიზანი იყო რუსეთის საზღვრებთან ცეცხლის დანთება, მუდმივი კონფლიქტის შექმნა და გეოპოლიტიკური გახლეჩვა, რუსეთის გარშემო მტრობის გაზრდა, მიზანი ეს იყო. ცხადია, რომ მიუხედავად იმისა, რა მოტივები ამოძრავებდა სააკაშვილს და მის რეჟიმს, 2008 წლის ომი იყო წარმოუდგენელი, საარაკო ღალატი და ბუნებრივია, რომ მოღალატეებმა პასუხი უნდა აგონ სამართლის წინაშე.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# დედაქალაქი აღდგომისთვის ემზადება



თბილისის მთავრობის მორიგი სხდომა

**მერიაში გუშინწინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ აღდგომის დღეებში მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეებს უფასოდ, გახანგრძლივებული დროით მოემსახურება.

**„გვიახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული – ტრადიციულად, აღდგომის ღამეს, თბილისის მეტრო გახანგრძლივებული დროით იმოძრავებს. მოქალაქეთა შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით, მეტრო 20 აპრილის 04:00 საათამდე იმუშავებს. 19 აპრილის 23:00 საათიდან 20 აპრილის 04:00 საათამდე მიწისქვეშა ავტოტრანსპორტით გადაადგილება უფასო იქნება. რაც შეეხება თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული საქალაქო სასაფლაოების მიმართულებით მოძრავ ავტობუსებს, 20-21 აპრილს დაწესდება ცხრა დროებითი მარშრუტი – ავტობუსები მგზავრებს 08:00-დან 20:00 საათამდე სასაფლაოების მიმართულებით, უფასოდ გადაიყვანენ“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე ინფორმაციით, მუნიციპალური ტრანსპორტი იმოძრავებს მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“, „დელისის“, „სარაჯიშვილის“, „ვარკეთილის“, „სადგურის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიიდან და „დიდუბის“ ზედა გასასვლელიდან. ასევე, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან და ვარკეთილის III მასივიდან, კერძოდ, შუამთისა და აბაშვილის ქუჩების გადაკვეთიდან.

* * *

**დედაქალაქის მერმა რეკრეაციული სივრცეების მოწყობა-მოწესრიგებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია დაიწყო.**

მისივე თქმით, მასშტაბური სამუშაოების ფარგლებში, ასობით ავტოფარეხის დემონტაჟი მიმდინარეობს, რაც რეკრეაციული სივრცის საგრძნობლად გაზრდას ნიშნავს.

**„სამგორის რაიონში, გახოკიძის ქუჩაზე არსებული რეკრეაციული სივრცის სრული რეაბილიტაცია გრძელდება. საუბარია 26 000-მდე კვ.მ-ზე. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ადგილობრივ მოსახლეობას თანამშრომლობისთვის, რადგან ასობით ფარეხის დემონტაჟი ხორციელდება. ამ მოწესრიგებულ, განახლებულ სივრცეებს გამოიყენებთ ისევ თქვენ და თქვენი შვილები, იქ მცხოვრები ოჯახები. დემონტაჟი ხდება უსახური ფარეხების, რომელიც იყო გამოუყენებელი, იკავებდა დიდ ტერიტორიებს და ვიზუალურად ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა. სამუშაოების მნიშვნელოვანი კომპონენტი გამწვანებაა – ტერიტორიაზე შევა ნოყიერი მიწა, დაითესება ბალახი და დაირგვება სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი. გათვალისწინებულია ატრაქციონების მოწყობა პატარებისთვის, გაკეთდება სპორტული მოედნები, სასეირნო ბილიკები, გარე განათება“.**

პროექტი მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება. კიდევ ერთი სივრცე მოწესრიგდება ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩაზე, სადაც სკვერის კაპიტალური რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება. მნიშვნელოვანია, რომ თბილისში რაც შეიძლება მეტი მწვანე სივრცე შეიქმნას, რათა მეტ ადამიანს ჰქონდეს მათი გამოყენების შესაძლებლობა დასვენებისა და ვარჯიშისთვის.

თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ რეკრეაციულ ზონებში ხეების უკანონოდ გაჩეხის ფაქტები გამოავლინა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო, საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს გადაეცემა.

**„დედაქალაქში გვაქვს რეკრეაციული ზონები, სადაც არანაირი სამშენებლო ნებართვა არ გაიცემა, თუმცა, სამწუხაროდ, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ადამიანები ტყეს ჩეხენ. ძალიან ბევრი ფაქტი გამოვლინდა. ამჯერად მუნიციპალურმა ინსპექციამ წყნეთში, ე.წ. კაკლების დასახლებაში და მახათას მთაზე, ლანდშაფტურ-რეკრეაციულ ზონებში ელდარისა და შავი ფიჭვის უკანონოდ გაჩეხის ფაქტები გამოავლინა და კანონის შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. კანონდარღვევის მასშტაბის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო, საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს გადაეცემა. მინდა, მადლობა გადავუხადო მოქალაქეებს, რომლებმაც ცხელ ხაზზე დარეკეს და ინფორმაცია მოგვაწოდეს, ჩვენი მხრიდან კი მაშინვე მყისიერი რეაგირება მოხდა“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მან დიდუბის რაიონის ყოფილ გამგებელს ვლადიმერ ძნელაძეს გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა და ახალ თანამდებობაზე წარმატება უსურვა. ძნელაძე ამიერიდან ენერგეტიკის განვითარების ფონდს უხელმძღვანელებს.

**„მინდა, მადლობა გადავუხადო დიდუბის რაიონის აწ უკვე ყოფილ გამგებელს ვლადიმერ ძნელაძეს, რომელიც საქმიანობას ახალ თანამდებობაზე განაგრძობს – იგი ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორად დაინიშნა. შესაბამისად, გამგებლის თანამდებობა დატოვა. ლადოს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ენერგეტიკის მიმართულებითაც. იგი 2021 წლიდან იყო დიდუბის რაიონის გამგებელი. ბევრი კარგი პროექტი გვაქვს ერთად განხორციელებული. მინდა, მადლობა ვუთხრა მას გაწეული შრომისთვის, საქმიანობისთვის და წარმატება ვუსურვო ახალ თანამდებობაზე. შორს არ მიდის. მართლაც მნიშვნელოვანი პროექტებია ენერგეტიკის მიმართულებით გასაკეთებელი. ჩვენ გვაქვს სერიოზული რესურსები, რომელსაც სჭირდება სწორი, რაციონალური გამოყენება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთად, რათა საქართველო ელექტროენერგიის თვალსაზრისით არ იყოს ვინმეზე ან რომელიმე ქვეყანაზე დამოკიდებული“.**

# სენაკის ინფრასტრუქტურა დღითი დღე ვითარდება



**„სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ვერავამ, მოადგილესთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, არსებულ გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან და სამსახურის უფროსთან ერთად გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილა“**, – ამის შესახებ ინფორმაციას, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე ავრცელებს. მათივე ცნობით, სახელმწიფო რწმუნებული **დავით ვერავა,** სენაკის მერთან, **ვახტანგ გადელიასთან** ერთად, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

**„ამ ეტაპზე, სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების – ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს, რაც მოიცავს პირველი და მეორე სართულების, სველი წერტილების, საკონფერენციო დარბაზისა და სასწავლო ოთახების სრულ რეაბილიტაციას. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და ღირებულება 391 599 ლარს შეადგენს.**

**რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, 2024 წელს, სრულად განახლდა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა; რეაბილიტირდა სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო დერეფანი, განახლდა მცირე საკონცერტო დარბაზი.**

**დავით ვერავა ასევე გაეცნო, დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში განხორციელებულ პროექტს, რომლის ფარგლებში ჩატარდა: სცენის დემონტაჟი და ახლით შეიცვალა, მოეწყო სასცენო განათების ახალი სისტემა, რეაბილიტირდა შენობის პირველი, მეორე და მესამე სართულები, სხვადასხვა სივრცეები, მოეწყო ელექტროგაყვანილობის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სადრენაჟე სისტემები, ახლით შეიცვალა საკონცერტო დარბაზის სკამები.**

**პროგრამის „განახლებული რეგიონების” ფარგლებში, ასევე ჩატარდა შენობის ექსტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის შენობა 36-წლიანი ისტორიის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდობის ცენტრია, სადაც 400-მდე ახალგაზრდა სხვადასხვა სერვისით სარგებლობს...“**

# მთავარი პრობლემა ცოდნის დეფიციტია!

**საქართველოში** სურსათის უვნებლობის გამოწვევებზე საუბრისას FAO-ს პროექტის მენეჯერი **მიხეილ სოხაძე** BMGtv-ის გადაცემაში „საქმიანი დილა“ აღნიშნავს, რომ პირველადი წარმოების კონტროლი ქვეყანაში რთულია, რადგან საქართველოში იმაზე მეტი ფერმერია, ვიდრე გერმანიასა და საფრანგეთში ერთად.

**„ყველაზე რთული, რაც ქვეყანაში ვერ კონტროლდება, თავისი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ეს გახლავთ პირველადი წარმოება – ფერმა. საოჯახო მეურნეობები ქვეყანაში 90%-ია და მინდა გითხრათ, რომ საქართველოში იმაზე მეტი ფერმერია, ვიდრე გერმანიაში და საფრანგეთში ერთად. ეს ძალიან ართულებს კონტროლს. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი გჭირდება, რომ გააკონტროლო, სად იკვებებიან ცხოველები, როგორ და რანაირად.**

**საქართველოში იმაზე მეტი ფერმერია, ვიდრე გერმანიასა და საფრანგეთში ერთად!**

მცირე საოჯახო მეურნეობები უნდა გამსხვილდეს. სულ არ გჭირდებათ ძროხის ანატომიის ცოდნა, გაზაფხულზე რომ დაინახავ ყველა ძვალს დაუთვლი, იმდენად არ აქცევენ ყურადღებას... კანონმდებლობაშიც „საქონელი“ გვიწერია სიტყვა, „საყოლელიც“ კი არა, ცოცხალ ორგანიზმადაც კი ვერ აღვიქვამთ, იმდენად არასწორი წარმოდგენა არის საზოგადოებაში. **„ცხოველთა კეთილდღეობის“ ხსენებაც კი ეშინიათ და ერიდებათ ზოგჯერ, არადა როგორ გამოკვებავ, მიხედავ, დაკლავ – ადამიანის ჯანმრთელობასთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული“**, – განაცხადა FAO-ს პროექტის მენეჯერმა. მისივე თქმით, ხორცისა და რძის წარმოებაში მთავარი პრობლემა ცოდნის დეფიციტია, რაც ცხოველის თვითნებური მკურნალობისას ყველაზე მეტად იჩენს თავს.

**„მაგალითად რომ ავიღოთ, ცხოველში მასტიტების გამომწვევი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მერე არც უკავშირდებიან ვეტერინარს, ზოგჯერ არც იციან, ან თავად მკურნალობენ ანტიბიოტიკით. ანტიბიოტიკების გამოყენება პრობლემა არ არის, უბრალოდ სწორად უნდა გამოიყენო, დროის შუალედი უნდა დაიცვა, თორემ მერე რძეში ანტიბიოტიკიც ხვდება, ჩირქიც, და მერე იმ რძეს არც ადუღებენ, რადგან ყველი აღარ ამოდის და ა.შ.**

**საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ჩვენ მივიღეთ შუა საუკუნეების გლეხობა, რომელსაც ფერმერის ცოდნა აღარ აქვს... თვითონ კი არ უნდათ, რამე დააშავონ, უბრალოდ არ იციან, აკეთებენ რასაც მათი მამა-პაპა აკეთებდა და უშვებენ ანტიბიოტიკებს პრევენციისთვის, ამ დროს არც ის ანტიბიოტიკები გადადის საბოლოო პროდუქტში. ურთულესი თემაა ანტიბიოტიკები და ამის კონტროლიც ცალკე თემაა. ფერმაში დაშვებული ეს შეცდომა, ანტიბიოტიკების არასწორი მოხმარება, რაც არ უნდა ფილტროთ, წამოადუღოთ და ა.შ. საბოლოო პროდუქტში მაინც იჩენს თავს, ვერ ასცდებით, გამორიცხულია“**, – დასძინა **მიხეილ სოხაძემ.**



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

### აკადემიკოსთა ვაკანსიები

| სპეციალობა | ვაკანსია |
|---|---|
| მიკრობიოლოგია | 1 |

### წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიები

| სპეციალობა | ვაკანსია |
|---|---|
| მათემატიკა | 1 |
| კიბერუსაფრთხოება | 1 |
| გეოგრაფია | 1 |
| პედიატრია | 1 |
| დასავლური ცივილიზაციის ეთიკა და ესთეტიკა | 1 |

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს), სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს (აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს), სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობისა (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად):

- აკადემიკოსობის კანდიდატებისათვის აკადემიის ნამდვილი წევრების, ხოლო წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებისათვის აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება (დედანი), დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და სველი ბეჭდით, ან სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების, კერძო ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების წარდგინება (დედანი, დაბეჭდილი ტიტულოვან ბლანკზე) სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და დაწესებულების სველი ბეჭდით;
- ფერადი ფოტო 4/6;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად);
- მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV);
- ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი სრული ფორმით (უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით);
- კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება დარგის სპეციალისტის მიერ;
- კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა მიერ.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2025 წლის 22 აპრილიდან 22 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტი, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86; 577 40-61-51). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (**www. science. org.ge**).

კანდიდატის CV და ფოტოსურათი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით ელექტრონულ მისამართზე **hr@ science. org.ge**.

**შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტში.**



# ლევან დავითაშვილი: ანაკლიის პორტმა, შესაძლოა, გემების მიღება 2027 წლის ბოლოსაც შეძლოს

**– ვფიქრობ, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როდესაც გადავწყვიტეთ, რომ არ ველოდოთ ინვესტორებს და სახელმწიფომ კრიტიკული ინფრასტრუქტურა შექმნას. ჩვენ თანმიმდევრულად ვავითარებთ პორტს – ამ ინფრასტრუქტურის შექმნის შედეგად ჩვენ გვექნება ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები, რომ ვესაუბროთ პარტნიორებს. პარტნიორი შეიძლება იყოს ძალიან ბევრი, სხვადასხვა ტიპის პროფესიონალი, კომპანია, რომელიც კომპლექსურ ეკოსისტემას ანაკლიის პორტის გარშემო ჩვენთან ერთად განავითარებს,“** – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** ეკონომიკურ ფორუმზე ანაკლიის პორტის მშენებლობის პროცესზე საუბრისას. პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, პორტი არ არის მხოლოდ ნავმისადგომი, სადაც გემი ჩამოიცლება. მისი თქმით, პორტთან დაკავშირებულია ძალიან ბევრი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ანაკლიაში თანმიმდევრულად განვითარდება.

**„ჩვენ შარშან დავიწყეთ აქტიური სამშენებლო სამუშაოები. დღეს მოსამზადებელი ეტაპი დასრულდა და გვაქვს სრული წინაპირობა, რომ საზღვაო ინფრასტრუქტურის აქტიურ სამშენებლო სამუშაოებზე გადავიდეთ. ყველა იურიდიული პროცესი, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებული, დასრულების ფაზაზეა,“** – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პორტში პირველი გემების შემოსვლის თარიღად 2028 წელი იყო დასახელებული, შესაძლებელია, პორტმა გემების მიღება 2027 წლის ბოლოსაც შეძლოს. როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, პორტის მშენებლობის პარალელურად უნდა განვითარდეს ახალი საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.



**„ანაკლიაში პორტი ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება, რომ ის ინფრასტრუქტურული ჩამორჩენა, რაც ჩვენ გვაქვს, მალე აღმოვფხვრათ. მას შემდეგ, რაც ჩვენ გვექნება კონკურენტუნარიანი, ხარისხიანი თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სხვა ალტერნატივებთან შედარებით უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გავხდებით და გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ ტვირთნაკადების ჩვენს დერეფანში დამაგრებას მოვახერხებთ,“** – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

**ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.**



(ამ გულახდილობას გარკვეული მიზნებიც ედო) საუბრებმაც მისცა შავი ზღვის სანაპიროზე სეირნობის ჟამს.

ამდენად, პირადად მე აკაკი მგელაძეს მივიჩნევ „ჩაწოდების“ პიონერად და არა სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ნიკოლოზ რუხაძეს, რომელსაც სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმისადმი ლ. ბერიას 1953 წლის 8 აპრილის ბარათით („ე. წ. მეგრელი ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ“) და სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1953 წლის 10 აპრილის დადგენილებით („ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის შესახებ“) დაწყებული, თითქმის ყველა მკვლევარი და მწერალი ანიჭებს პირველობის პალმას.

***აკაკი მგელაძე:** დაიბადა 1910 წ. ოზურგეთის რაიონი სოფელ მელექედურში, მეწაღის ოჯახში. მალე მისი მშობლები გუდაუთაში გადასახლდნენ, დაამთავრა გუდაუთის ათწლედი (გვიან, 1949 წელს, საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტი). 1930 წლიდან მუშაობდა კომ-*

აქ მკითხველისთვის საინტერესოდ მეჩვენება ერთი ეპიზოდის გაცნობა, რომელიც საბჭოთა საქართველოს ცნობილმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ალიოშა მირცხულავამ მიამბო:

**„1937 წლის შემოდგომაა, თუ არ ვცდები, ნოემბერი. ახალი არჩეული ვარ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. ბერიამ დამიბარა. როცა მარტო დავრჩით, მკითხა, აკაკი მგელაძე თუ დაბრუნდა მოსკოვიდანო. იმ დროს აკაკი საკავშირო ალკკ ცკ-ის განყოფილების გამგედ იყო გადაყვანილი.**

ბერიამ მითხრა, საკავშირო შინსახკომის ორგანოებს მგელაძესთან ანტისაბჭოთა და ანტიპარტიული საქმიანობის ბრალდება წაუყენებიათ აფხაზეთში მუშაობის პერიოდთან დაკავშირებით. სკპ(ბ) ცკ-ის მდივანმა ანდრეი ანდრეევმა დამირეკა, მის დაპატიმრებას აპირებენ და როგორია თქვენი აზრიო. მგელაძე ჩვენს

რის, მ. ბარამიასთვის არაფერი უკითხავთ, არავითარი ახსნა-განმარტება არ მოუთხოვიათ. სტალინმა წაიკითხა დადგენილების პროექტი, გაარჩია მასალები მხოლოდ მგელაძის, რუხაძისა და პოსკრებიშევის მონაწილეობით, საფუძვლიანად გაასწორა და ხელი მოაწერა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დასაბრუნებლად. სტალინს ჰგონებია, რომ საკითხი ჯერ მოსკოვში გაირჩა და ისე გამოუგზავნეს ხელმოსაწერად.

თავს უფლებას მივცემ, არ გავიზიარო ბატონი ალიოშას მოსაზრება, თითქოს დადგენილება სტალინს პოსკრებიშევმა შეაპარა.

ის რომელიმე რიგით საკითხს, ვთქვათ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებებს რომ ეხებოდა მართლაც შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ გამოუგზავნეს, მან გაასწორა, ვიზა მისცა და მოსკოვში დააბრუნა. ოღონდ, არამც და არამც პოსკრებიშევის შეპარებით, ცკ-სთან შეუთანხმებლად! თანაც – ანტიპარტიული ჯგუფი საქართველოში! რომელი პოსკრებიშევი კი არა, მთელი პოლიტბიურო გაბედავდა უმისოდ ამ საკითხის განხილვას!

მოვლენათა მთელი შემდგომი მსვლელობა უარყოფს ამ ვერსიას: 9 ნოემბრის დადგენილებას მოგვიანებით, მეორე დადგენილება მოჰყვა სტალინის აქტიური მონაწილეობით შექმ-

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

**კითხვა: გამოდიოდით ბარამიას წინააღმდეგ?**

**პასუხი:** ბარამიას წინააღმდეგ არ გამოვდიოდი, მე გამოვდიოდი მის არასწორ მოქმედებათა წინააღმდეგ. ბარამია ჩადიოდა ამორალურ ქმედებებს: იცავდა მექრთამეებსა და ხაზინის ქურდებს, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, თუ ისინი სამეგრელოდან ან მეგრელები იყვნენ; ცდილობდა ყველგან და ყოველთვის წინ წამოეწია თავისი თვისტომნი – მეგრელები, მათ აშკარა უპირატესობას აძლევდა; შეფობდა სამეგრელოს რაიონებს და ერთხელ აფხაზეთისთვის გამიზნული სასუქების სამეგრელოს რაიონებისთვის გადაცემის წინადადებაც კი წამოაყენა.

მიმაჩნდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკი, მით უფრო ცკ-ის მეორე მდივანი, ერთნაირად უნდა ზრუნავდეს საქართველოს ყველა რაიონზე, არ უნდა გამოჰყოფდეს კუთხეს, საიდანაც თვითონ არის წარმოშობით, არ უნდა დაუწესოს მას შეღავათები სესხის, გადასახადების, თესლის და დამზადების გეგმების მხრივ და ა. შ. რაც ნიშნავს, რომ შენს კუთხეს კარგად აცხოვრებ სხვათა ხარჯზე.

ბარამის მეუღლეც ვერ იქცეოდა როგორც საჭიროა.

ზემოთქმულის გარდა, სხვა რამეში მე ბარამია არ დამიდანაშაულებია, მით უფრო, ემიგრანტ გეგეჭკორთან რაიმე კავშირში, ან მისი ხელმძღვანელობით რაიმე ჯგუფის არსებობაში“…

აკაკი მგელაძის მოგონებათა წიგნის ეს ნაწყვეტი გვაკვალიანგებს, რომ მისი როლი სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის იმ ავბედითი დადგენილების შექმნაში, მართლაც არსებითი იყო. პირველწყაროობის ბრალდებას მგელაძე ყასიდად ეწინააღმდეგება, მაგრამ იმით, რასაც ლაპარაკობს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ეს ბრალდება კი არა, რეალობა იყო, რაც ლავრენტი ბერიას კარგად მოეხსენებოდა.

აქ სხვა რამეც არის საინტერესო. მოგონებების წერა მან შერისხულობის ჟამს – ბებნისის (ქარელი) მეურნეობაში დაიწყო, როცა „მეგრელი ნაციონალისტები“ რა ხანია რეაბილიტირებული არიან პირწმინდად ყველა პარაგრაფის მიხედვით, როცა ამ „ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა, მტრული ჯგუფის“ საქმე უშიშროების სამსახურის მიერ გაყალბების, ფაბრიკაციის კლასიკურ ნიმუშად ითვლება და მაინც, ჯიუტად აგრძელებს მათ დადანაშაულებას 9 ნოემბრის დადგენილების უპირველესი ბრალდებებით – მექრთამეების მფარველობითაც, კუთხურობით, ნათლიმამობით, რაც, იმავე დადგენილებით, თავისთავად გულისხმობს ანტიპარტიულობასა და ანტისახელმწიფოებრიობას.

ამდენად, თვალნათლივ ჩანს, რომ ბელადს 9 ნოემბრის დადგენილებისათვის იმპულსი სწორედ აკაკი მგელაძის გულახდილმა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56

*კავშირის გუდაუთის რაიკომის განყოფილების გამგედ, ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ, მეორე მდივნად, შემდეგ – პირველ მდივნად. 1934-1937 წ.წ. იყო საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი, 1937-1938 წ.წ. – საკავშირო ალკკ ცკ-ის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, 1939-1942 წ.წ. – ტრესტ „საქნავთობის“ მმართველი, 1943-1951 წ.წ. – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი (ამ პოსტზე მან მიხა ბარამია შეცვალა), 1951 წლის ნოემბრიდან 1952 წლის მარტამდე – ქუთაისის საქალაქო, შემდეგ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1952 წლის მარტიდან 1953 წლის აპრილამდე – საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი. 1954 წლიდან 19 წელიწადი იმუშავა ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1973-78 წ.წ. – მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 1980 წელს. იყო ლ. ბერიას ფარული მტერი, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, ძალზე კარგად ვიყავით ერთმანეთთან მთელი მისი საქართველოში და შემდეგ მოსკოვში მუშაობის პირველ პერიოდშიო, მაგრამ, რაც უფრო მიახლოებდა ი. სტალინი, მით უფრო იცვლებოდა ჩემს მიმართ ლავრენტის დამოკიდებულება, იგრძნობოდა, რომ იგი უკმაყოფილო იყო ამ დაახლოებით, თუმცა აშკარად არ გამოხატავდაო.*

აქ ბატონი აკაკი იმას აღარ ამბობს, რომ რაც უფრო იახლოვებდა სტალინი, იმდენად უფრო ცივი და მტრული ხდებოდა ბერიას მიმართ მისი დამოკიდებულება. არადა, თავის დროზე…



1954 წლიდან აკაკი მგელაძემ 19 წელიწადი იმუშავა ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორად

განკარგულებაში გადმოგზავნეთ, მაგ საქმეს აქ განვიხილავთო, უპასუხა ბერიას და ახლა აინტერესებდა, გამოჩნდა თუ არა აკაკი, რომელიც თბილისში ყოფილა წამოსული. თურმე ამიტომ მიხმო.

მალე ამ საქმეზე შეიქმნა კომისია ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის პეტრე შარიას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ბაღჩო ქობულოვისა და ჩემი შემადგენლობით. კომისიამ გაამართლა აკაკი მგელაძე, შემდეგ იგი ტრესტ „საქნავთობის“ მმართველად დაინიშნა“.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ნაამბობიდან?

ის, რომ საჭიროების შემთხვევაში ლავრენტი ბერიამ იცოდა ადამიანის გამოსარჩლება და დახსნა. და ისიც, რომ აკაკი მგელაძე იმ დროს მისთვის ახლობელი იყო.

ამრიგად, ყველაფერი შემზადებულია, ბელადმა გეგმა მოხაზა და მის ხორცშესხმას შეუდგა. იქვე, ახალ ათონშივე დაიწერა ცნობილი 9 ნოემბრის დადგენილება: **„საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.**

ალიოშა მირცხულავა მიიჩნევს, რომ აკაკი მგელაძემ და ნიკოლოზ რუხაძემ შეაკოწიწეს სიმართლეს მოკლებული, ხელოვნურად გამოგონილი ფაქტები, ყალბი მასალების მთელი გროვა-კომპლექსი მ. ბარამიას წინააღმდეგ და გადასცეს ი. სტალინის თანაშემწეს ალექსანდრ პოსკრებიშევს. პოსკრებიშევმა ამ ფალსიფიცირებული მასალების მიხედვით შეადგინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი და სტალინს გადასცა როგორც მოსკოვიდან მოსული. მასალები არავის გადაუმოწმებია, ბრალდებულ პირთათვის, მათ შო-

ნილი. იგი ცხოვლად ადევნებდა თვალს გამოძიების მსვლელობას.

ბატონი ალიოშა მირცხულავა გვაცნობს ამ საკითხზე ნ. ხრუშჩოვის მიერ მისთვის 1953 წლის აგვისტოში ნაამბობს: **„1951 წლის შემოდგომაზე სოჭში ვისვენებდი. ახალი ათონიდან, სადაც იმ დროს სტალინი იმყოფებოდა, პოსკრებიშევმა დამირეკა, სტალინი გიხმობსო. მეორე დღეს ჩავედი. სტალინის სამუშაო ოთახში იყვნენ პოსკრებიშევი, მგელაძე და ერთი ჩემთვის უცნობი პიროვნება. (ნიკოლოზ რუხაძე? – ა.ა.) სტალინი მომესალმა, მაგრამ რაღაც დოკუმენტზე მუშაობა არ შეუწყვეტია. ჩემთვის გავიფიქრე, რომ მზადდებოდა არასასიამოვნო ამბავი. სტალინმა ხელი მოაწერა და პოსკრებიშევს გადასცა, მერე მომიბრუნდა და ლაპარაკი დამიწყო. თურმე ეს დოკუ-**



ნიკოლოზ რუხაძე



იოსებ სტალინი და ალექსანდრე პოსკრებიშევი



ალიოშა მირცხულავა

მენტი ბარამიას მეგრულ ნაციონალიზმზე დადგენილების პროექტი ყოფილა. ხრუშჩოვმა თავის მხრივ დაამატა, რომ ეს საკითხი არსად არ გარჩეულა".

ეს ეპიზოდიც მარწმუნებს, რომ სტალინისთვის დადგენილების პროექტის „შეპარების" ვერსია ძნელად გასაზიარებელია... ამ საკითხზე სტალინისა და ხრუშჩოვის საუბრის დროს მაინც გაირკვეოდა სიმართლე.

შემდეგ ბატონი ალიოშა გვატყობინებს, რომ ასეთი დოკუმენტის მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოჩენამ ძალზე შეაფიქრიანა გიორგი მალენკოვი და სხვა მდივნები, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ, იგი კანონად ჩათვალეს, რადგან სტალინი აწერდა ხელს და სახელმძღვანელოდ დაუგზავნეს პარტიულ კომიტეტებს. მან თვითონ დამირეკა სამსახურში (ალიოშა მირცხულავა მაშინ მოსკოვში, სკპ(ბ) ცკ-ის ინსპექტორად მუშაობდა – **ა.ა.**) და მთხოვა სასწრაფოდ მივსულიყავი მასთან. შესვლისთანავე წინ დამიდო ეს დოკუმენტი. მე ვუთხარი, რომ იგი გაგვაცნეს ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკებს. ლ. ბერიამ ეს დადგენილება სრულიად უსაფუძვლოდ და უმართებულოდ ჩათვალა, ხელი ჩაიქნია და მითხრა, ცენტრალურ კომიტეტში არც ერთმა მდივანმა არ იცის არაფერი ამ დადგენილების მომზადებისა და მიღების შესახებ, რაღაც დიდი გაუგებრობაა, ფრთხილად იყავითო. გაკვირვებული დავრჩი, რომ ლ. ბერიასა და გ. მალენკოვის მონაწილეობის გარეშე მოხდა ასეთი დადგენილების მიღება.

1953 წლის მაისში, აგრძელებს ბატონი ალიოშა, ჩემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობისას, მიხა ბარამიამ მიამბო: **1951 წლის 9 ნოემბერს კანდიდ ჩარკვიანმა თავისთან მიხმო და ეს დადგენილება მაჩვენა. წავიკითხე თუ არა, აღელვებულმა და აღშფოთებულმა კატეგორიულად უარვყავი ყველა ბრალდება, ცილისმწამებლური და პროვოკაციული ვუწოდე. ვუთხარი, რატომ არ მკითხეთ რაიმე ან სხდომას რატომ არ დამასწარით, სადაც ასეთი გამანადგურებელი განაჩენი გამომიტანეთ-მეთქი. ჩარკვიანი გაფითრებული შემომყურებდა და მითხრა, ჩემთვისაც არავის არაფერი უკითხავს და არც სხდომას დავსწრებივარო. არ დავიჯერე, მაგრამ დამარწმუნა. ვთხოვე, სტალინისთვის დაერეკა (მაშინ სტალინი გაგრაში თუ ახალ ათონში იმყოფებოდა), მიგვიღოს და გავარკვიოთ, თუ როგორ შეიქმნა ეს საშინელება-მეთქი. ჩარკვიანმა სტალინთან დალაპარაკებაზე უარი თქვა და ყურმილი გადმომცა, თუ გინდა შენ დაელაპარაკეო. ბარამიას გაბედულად აუკრეფია ნომერი და პოსკრებიშევისთვის უთხოვია, სტალინმა მიმიღოსო. პოსკრებიშევმა ცოტა ხნით დააცდევინა, მერე კი უპასუხა, სტალინმა თქვა, ბარამიას ჩემთან რა უნდა, სადაც მისი საკითხი გაირჩა, იქ ეთქვა, რაც უნდოდაო და არ მიიღო.**

ამ ეპიზოდიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაიბადა ლეგენდა დადგენილების ი. სტალინის გარეშე შექმნის, დოკუმენტის მისთვის „შეპარების" შესახებ.

ამრიგად, ზარი ჩამოირეკა. დადგენილებას ი. სტალინმა ხელი მოაწერა და უმალ იქცა მრისხანე იარაღად, ახალი პროსკრიპციების სათავედ, რომელსაც მრავალი ადამიანის ბედი უნდა გაემრუდებინა, მრავალს უნდა ქცეოდა ტანჯვის ნიშანსვეტად.

(გაგრძელება იქნება)

**აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ყველა ელოდა ცვლილებებს მსოფლიოს სასარგებლოდ. უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტაზე ვიყავით აქცენტირებულნი! ასე დაგვპირდა ტრამპი, მაგრამ, სამწუხაროდ, ომი გრძელდება: კვლავ სისხლით ირწყვება უკრაინის მიწა, კვლავ იხოცებიან უკრაინელი და რუსი ჯარისკაცები, ბავშვები, მოხუცები, სრულიად უდანაშაულო სამოქალაქო საზოგადოება. რატომ ვერ შეძლო ტრამპმა თავისი დანაპირების აღსრულება?**

# საქართველომ საკუთარ თავს უნდა მიხედოს!

**ვინ დაასაბუთებს და ვინ მოგვცემს ამის ანალიზს? ძნელია! ყველაფერი ძნელია, ძნელია ვეებერთელა, რთულად აწყობილი სახელმწიფოს მოვლა, მით უფრო, რომ თურმე იქ რამდენიმე წლის განმავლობაში არც თუ ისე მტკიცედ და სამართლიანად ეჭირა სადავეები მის ყოფილ მმართველს... თურმე იქაც თვითნებობდა თავაშვებული „ომის პარტია" (დიფსთეითი)! მორალისა და წესრიგის ნაცვლად ქვეყანას (განა მარტო ამერიკას!) მოედო ამორალობისა და გარყვნილების ხელშემწყობი ორგანიზაციები. მილიონობით შემოსულმა მიგრანტმა სახე დაუკარგა ამერიკულ საზოგადოებას... ასეთ ვითარებაში ძნელია და დამაფიქრებელი ტრამპის მიერ საარჩევნოდ გაცემული დაპირებები... და ბევრი სხვა რამ.**

ასე რომ, საქართველოსთვის ვის სცალია, საქართველომ საკუთარ თავს თავადვე უნდა მიხედოს. საქართველო პატარა ქვეყანაა, ამერიკას რას შეადარებ, მაგრამ, როდესაც სახელმწიფოს მტერი შიგნიდან გაუჩნდება, მტერი, რომელიც დეზინფორმაციით და სხვადასხვა გაიძვერული მეთოდებით ცდილობს მოგიწყოს არეულობა, მოახერხოს და მტრად გადაგიქციოს დასავლეთის სახელმწიფოები, კავშირები და სხვა საზოგადოებები, ევროკავშირში შესასვლელი გზა გადაგიკეტოს, მერე გამოდიოდეს და საქართველოს მთავრობას (ახლანდელს!) აბრალებდეს – მთელი ევროპა მტრად მოიკიდეო, როგორც იქნა ევროკავშირში შესასვლელ გზას გვიხსნიდნენ, შენ კი რუსეთისაკენ გაიწიეო... რაღაც აბსურდებს გაბრალებდეს და მსოფლიოსაც უმტკიცებდეს ვითომ საქართველოს მოღალატეობას... ასეთ შემთხვევაში, რაც არ უნდა პატარა იყოს სახელმწიფო, იგი ურთულესად მოსავლელი ხდება!

როდესაც საგამოძიებო საპარლამენტო კომისია შეიქმნა, მაინცდამაინც არ ვიყავი დარწმუნებული მის აუცილებლობაში. ვფიქრობდი, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და რაღა დროს გამოძიებაა ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე დალაგებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში-მეთქი, მაგრამ კომისიის სხდომების დაწყებისთანავე თვალწინ დამიდგა ორიათასიანი წლების დასაწყისის შიშითა და ძრწოლით სავსე ქაოტური დღეები, რამაც, მაშინ, აღელვებული ქართველი ხალხი გარეთ გამოიყვანა იმ სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე საქმე დასაწყებელი კი არა, ამ დღეზე ოცნებობდნენ მაშინდელ რეჟიმს გადარჩენილი მსხვერპლები. თურმე ნატრობდნენ ამ დღის გამომზეურებას, რათა გაეცნოთ შინ და გარეთ ფართო საზოგადოებისთვის ის უბედურება, ჭირი და ვარამი, რაც მათ გამოიარეს. რას სჩადიოდნენ „ჩვენი ფაშისტები", განა არ ვიცოდით?

არ ყოფილა არც ერთი დემონსტრაცია, სადაც მე და ჩემი ოჯახის წევრებს, ისე როგორც თითქმის ყველა ოჯახისას, მონაწილეობა არ მიგვეღოს. წყნარ და მშვიდობიან, მაგრამ აბობოქრებული გულით შემდგარ საპროტესტო აქციებს, როგორ უპასუხა მაშინდელმა მთავრობამ, ყველამ ვიცით, მაგრამ – იმ შედაწყებულ საპარლამენტო კომისიაზე მოწმეები, თვითმხილველები, მძიმე დანაშაულის ფაქტებზე საუბრობენ, საკუთარ თავზე გადატანილ ისეთ უბედურებებს ყვებიან, ცრემლის, გულისტკივილისა და ხშირად რისხვის გამომწვევი გრძნობების გარეშე ვერ მოისმენ, გარეთ კვლავ დგანან საქართველოს უგულო და „უშიშარი" მტრები... იდგნენ მაშინაც, როცა არც ერთი მოძალადე, ეგრეთ წოდებული დემონსტრანტი არ ჰყავდა პოლიციას დაპატიმრებული (აქვე უნდა ვთქვა, რომ არა ვარ მომხრე მათი დაპატიმრებისა, მით უფრო – ცემისა!), და იდგებიან მანამ, სანამ ამ ჩვენი უნიჭობით, შურით და ბოღმით გატაცებულებს



**უნდა ვიცოდეთ, რა იყო და რა მოხდა, უნდა იცოდნენ იმ ახალგაზრდებმა, რომლებთაც შინაურმა თუ გარეშე მტრებმა თვალები დაუბრმავეს, გონება დაუხშეს და ასე მასხრებად ქცეულნი, სამშობლოს წინააღმდეგ დარაზმეს. ჩვენი მომავალი თაობაც წაიკითხავს და გაეცნობა სამშობლოს ამ ძნელბედობის პერიოდს და არავის მისცემს ბოროტების გამეორების უფლებას!**

მაძრწუნებელი და სასტიკი დროის გახსენებამ დამარწმუნა, რომ მიუხედავად საკმაო დროის გასვლისა, თუმც გვიან, მაგრამ მაინც, საჭირო კი არა, თურმე აუცილებელიც კი ყოფილა ამ უმძიმესი პროცესის ჩატარება. საქართველოს ისტორიაში დაწვრილებით და დოკუმენტურად უნდა იყოს აღწერილი და გაანალიზებული ის ფაშისტური პოლიტიკა, რასაც მაშინდელი მთავრობა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ატარებდა.

უნდა ვიცოდეთ, რა იყო და რა მოხდა, უნდა იცოდნენ იმ ახალგაზრდებმა, რომლებთაც შინაურმა თუ გარეშე მტრებმა თვალები დაუბრმავეს, გონება დაუხშეს და ასე მასხრებად ქცეულნი, სამშობლოს წინააღმდეგ დარაზმეს. ჩვენი მომავალი თაობაც წაიკითხავს და გაეცნობა სამშობლოს ამ ძნელბედობის პერიოდს და არავის მისცემს ბოროტების გამეორების უფლებას! საყურადღებოა ერთი რამ, – მიუხედავად იმისა, რომ ახლად მართლაც, ღმერთმა დაგვიფაროს და არ შემოგვესევა ნამდვილი მტერი.

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ეს მტერი, რუსი თუ უცხოპლანეტელი, სანამ ცხვირ-პირიდან სისხლს არ გვადენინებენ ჩვენ, ჩვენი სამშობლოს ნამდვილ მოქალაქეებს, თორემ ეს უსამშობლოები უკან მოუხედავად გაიქცევიან! სად? ჯანდაბაში! ხომ ვიცით, ვინც და რაც არიან! ისე, მართალი გითხრათ, ძალიან მწყინს, რამდენი უზრდელი ახალგაზრდა გვყოლია, როგორ იქცეოდნენ ამა წლის ცხრა აპრილს, – ამ ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე დღეს, როდესაც სულით და გულით გაერთიანებული ქართველი ხალხი ერთმანეთის პატივისცემით, სიყვარულით, სინანულით, მუხლის მოყრით, წმინდა ცრემლების ფრქვევით დასტიროდა ქართველ გმირებს ... ახლა კი რა ჩაიდინეს... ვერაფრით ვერ ამიხსნია ეს, რაღაც მეტისმეტად მდაბიური, სამარცხვინო ქცევა.

**ადამიანები, იმ დღის მომსწრენი და მოწმენი, ამაღლებული გრძნობით, გმირების პატივსაცემად მოსულნი, ყვავილებით ხელში, ვიღაც უსახურებმა კვარცხლბეკთან არ მიუშვეს. ნეტავ ისინი ქართველები არიან! ვისა აქვს უფლება ჩვენი გმირების მიმართ პატივისცემა აგვიკრძალონ! აი, ასეთ ადამიანებს (არიან კი ადამიანები?)ახალი სახელმწიფოს მოწყობის სურვილი აქვთ. შეიძლება კი მანქურთებს რაიმე სურვილი ჰქონდეთ?..**

**ერთი რამ მაინც იცოდნენ – ნუ ეჩხირები იქ, სადაც შენი საქმე არ არის!!!**



**გულნარა სტურუა**

## ამერიკული მკვლელობაც ამას ჰქვია!

### 17 წლის მოზარდმა, ტრამპის მოკვლისა და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით, მშობლები მოკლა

**აშშ-ში, 17 წლის ნიკიტა კასაპმა მშობლები მოკლა, რათა დონალდ ტრამპის მოკვლისა და სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ფინანსები მიეღო. ინფორმაციას ABC News-ი ავრცელებს.**



**ვისკონსინის პოლიციამ ცხედრები 1 მარტს იპოვა, რის შემდეგაც კასაპი დააკავეს. მან 10 000 დოლარზე მეტი ღირებულების ქონება მოიპარა და ფულის მისაღებად სხვისი საბუთები გამოიყენა. გამოძიების ინფორმაციით, მოზარდმა დრონი და ასაფეთქებელი ნივთიერებები იყიდა, რათა ტერაქტი მოეწყო. მისი ტელეფონი შეიცავდა მასალებს ნეო-ნაცისტური სექტის „ცხრა კუთხის ორდენის" შესახებ. ასევე, მის ელექტრონულ მოწყობილობებზე აღმოჩენილია ჰიტლერის ფოტოები, წარწერებით, სადაც „თეთრი რასის გადასარჩენად" ტრამპის მკვლელობაზეა საუბარი.**

**აღნიშნული ორგანიზაცია დიდი ხანია აცხადებს თავის კავშირს რადიკალურ არეულობებთან და მკვლელობებთან. აშშ-სა და ევროპაში ის ნეონაცისტური სექტის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურად ითვლება.**

# იური გაგარინი: ვიწვი, მშვიდობით, ამხანაგებო!



**მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნება ახდა: ადამიანი კოსმოსში გაფრინდა. ამ თავბრუდამხვევ წარმატებას, წინ არაერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევა უძღოდა.**

**მაგალითად, მე-16 საუკუნეში, იტალიელმა მეცნიერმა, გალილეო-გალილეიმ ტელესკოპი გამოიგონა, რითაც, პლანეტებსა და ვარსკვლავებზე დაკვირვება გახდა შესაძლებელი. მოგვიანებით, ტელესკოპი ისააკ ნიუტონმა გააუმჯობესა. ადამიანის ოცნებას კოსმოსში გასვლაზე, მე-20 საუკუნეში, ახალმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა მისცა ბიძგი. მნიშვნელოვანი იყო რუსი მეცნიერის, ციოლკოვსკის ნაშრომები სარაკეტო დინამიკასა და ასტრონავტიკაზე. ასევე, ამერიკელი რობერტ გოდარდის სარაკეტო კვლევები და გერმანელი მოაზროვნის, ჰერმან ობერთის ნაშრომები.**

მე-20 საუკუნის დასაწყისში, კოსმონავტიკის პირველი საზოგადოებები დაარსდა, მაგრამ, პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა დარგს მიზანი შეუცვალა: სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები კოსმოსის დაპყრობას კი არა, სამხედრო უპირატესობის მოპოვებას მიეძღვნა. სარაკეტო სისტემების შექმნასა და გამოყენებაში გერმანელები ლიდერები იყვნენ. 1944 წელს, ნაცისტურმა გერმანიამ, პირველმა გამოსცადა შორ მანძილზე მართული ბალისტიკური რაკეტა, სახელწოდებით, V-2, რომელიც ატმოსფეროს გასცდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ და ცივი ომის დაწყებამ ორ ზესახელმწოფოს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის კოსმოსურ რბოლას მისცა დასაბამი. მხარეები თავთავიანთი ტექნოლოგიებისა და პოლიტეკონომიკურ სისტემების უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდნენ. კოსმოსური ერა საბჭოთა კავშირმა გახსნა, როცა, 1957 წელს კოსმოსში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, **Спутник**-1 გაუშვა. რბოლას არც ამერიკელები ჩამორჩნენ. საბჭოთა თანამგზავრის გაშვებიდან ოთხი თვის შემდეგ, კოსმოსში მათაც გაუშვეს პირველი თანამგზავრი, სახელწოდებით, **Explorer**-1.

კოსმოსის ათვისების შემდეგი ეტაპი მალევე დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირმა და ამერიკამ კოსმოსში ცხოველები გაგზავნა. აქაც, პირველი, საბჭოეთი აღმოჩნდა. 1960 წელს, საბჭოთა-კავშირმა, **Спутник**-5-ით, ორი ძაღლი, ბელკა და სტრელკა, და მათთან ერთად, რამდენიმე ჯიშის მცენარე კოსმოსში გაუშვა, და, რაც მთავარია, ისინი დედამიწაზე ცოცხლები დააბრუნა.

ამერიკელებმა, ოდნავ მოგვიანებით, კოსმოსში შიმპანზე გაუშვეს. ისიც ცოცხალი დაბრუნდა დედამიწაზე, თუმცა, მანამდე, ორივე მხარეს, წარუმატებელი მცდელობაც მრავლად იყო. მაგალითად, ბელკა და სტრელკამდე, საბჭოთა კავშირმა ძაღლებით დაკომპლექტებული ორი მისია გაუშვა კოსმოსში, მაგრამ ცხოველები მიწაზე ვერ დააბრუნა. ძაღლების გაშვების შემდეგ, კოსმოსის ათვისების მესამე ეტაპი დაიწყო. ახლა, ორივე მხარემ, კოსმოსში პირველი ადამიანის გასაშვებად დაიწყო მზადება. საბჭოთა პროგრამას **Восток**-ი ერქვა. ამერიკულს, **Mercury**. ორივე პროგრამა ერთდროულად ვითარდებოდა. საბჭოთა პროგრამის ხელმძღვანელი, სერგეი კოროლიოვი, 1960 წელს, კოსმოსში გასაფრენად, მფრინავების არჩევას შეუდგა. მფრინავების შერჩევა უმკაცრეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უნარებს ითვალისწინებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მფრინავის წონასა და სიმაღლეს, რადგან, რაკეტა **Восток**-ს ძალიან პატარა კაბინა ჰქონდა. კოროლიოვმა, პირველ ეტაპზე,



20 კაცი აარჩია და, ბოლოს, ორ კანდიდატზე შეჩერდა. ესენი იყვნენ იური გაგარინი და გერმან ტიტოვი, რომელთაგან, კოროლიოვი, სხვადასხვა უნართა გამო, გაგარინს აძლევდა უპირატესობას. მისი სიმაღლე მხოლოდ 1 მეტრი და 57 სანტიმეტრი იყო.

ამერიკელებიც აქტიურად ამზადებდნენ თავიანთ პროგრამას, რომლის მთავარი კონსტრუქტორი მაქსიმ ფაჟე იყო. მათ, კოსმოსში გასაშვებად, შვიდი მფრინავი აარჩიეს. პირველობისთვის, მხარეები მოწინააღმდეგის დაბნევას ცდილობდა. მაგალითად, გაგარინის გაფრენამდე რამდენიმე კვირით ადრე, საბჭოთა კავშირმა კოსმოსში რაკეტა გაუშვა, რომელშიც, კოსმონავტის ნაცვლად, მანეკენი იჯდა. საბჭოთა ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ ამერიკელები, თითქმის მზად იყვნენ გასაფრენად, და კოროლიოვს აჩქარებდა. ბოლოს, გადაწყდა, **Восток**-ის გაშვება 12 აპრილს შემდგარიყო. კოროლიოვმა, ამ ეპოქალური მისიისთვის, იური გაგარინი აირჩია.

როგორც რუსი ისტორიკოსები ყვებიან, კოროლიოვის არჩევანით უკმაყოფილო იყო მეორე მფრინავი, გერმან ტიტოვი. ის თავისი ცხოვრების ბოლომდე საყვედურობდა კოროლიოვს. კოსმოსში ცხოველების წარმატებული გაშვების მიუხედავად, ზუსტად არავინ იცოდა, რა ელოდა ორბიტაზე პირველ კოსმონავტს. ბევრი ფიქრობდა, რომ, იური გაგარინისთვის ეს მისია თვითმკვლელობას ნიშნავდა. გაგარინიც მშვენივრად ხვდებოდა, რომ მას საშიში მოგზაურობა ელოდა. სტარტამდე ორიოდე დღით ადრე, მან ცოლისა და ორი ქალიშვილის სახელზე, გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა, რომელიც, კატასტროფის შემთხვევაში, ოჯახისთვის უნდა გადაეცათ.

12 აპრილს, როცა გაფრენისთვის ყველაფერი მზად იყო, რაკეტაში ერთი ნაწილის გაუმართაობა დადგინდა: ხუფი ბოლომდე არ იხურებოდა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა კოსმონავტს. სტარტამდე მხოლოდ რამდენიმე წუთიღა რჩებოდა და ფრენის გაუქმება ძალზე არასასურველი იყო. კოროლიოვს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ამერიკელები ერთ კვირაში აპირებდნენ პირველი ასტრონავტის კოსმოსში გაშვებას. ამიტომ, მან კოსმოსური ხომალდის ხუფის ოპერატიულად შეკეთება და რაკეტის გაშვება გადაწყვიტა. გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე, გამშვებ



ჯგუფს იდეა მოუვიდა, გაგარინის ჩაფხუტზე ასოები **СССР** დაეწერათ. მაშინ, სულ, ახალი მომხდარი იყო ამერიკის ჯაშუში თვითმფრინავის, U-2-ის ინციდენტი. ამიტომ, წარწერა ჩაფხუტზე, პილოტის იდენტიფიცირებას გააადვილებდა.

12 აპრილს, მოსკოვის დროით, 9 საათსა და 07 წუთზე, საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა **Восток**-1-მა, ბაიკონურის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო. იური გაგარინმა კოსმოსში 1 საათი და 48 წუთი გაატარა. რაკეტას გაგარინი თვითონ არ მართავდა, რადგან არავინ არ იცოდა, კოსმოსი ადამიანზე, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, როგორ იმოქმედებდა. ამიტომ, გადაწყდა, ფრენა ბაიკონურიდან სრულად ავტომატურ რეჟიმში წარმართულიყო.

დედამიწაზე დაშვების დროს, გაგარინს ფრაზა წარმოუთქვამს, რომელსაც კარგა ხანს მალავდნენ: **ვიწვი, მშვიდობით, ამხანაგებო!**.. სინამდვილეში, მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. გაგარინმა ილუმინატორიდან ცეცხლის ალი დაინახა და ეგონა, ხომალდი იწვოდა და მალე აფეთქდებოდა. სინამდვილეში, კოსმოსური ხომალდის ატმოსფეროში შემოსვლისას, ეს, ბუნებრივი პროცესია. რადგან მაშინდელი ხომალდი უსაფრთხო დაშვების სისტემით არ იყო აღჭურვილი, გაგარინი, კატაპულტირების მეთოდით, პარაშუტით დაეშვა დედამიწაზე. ასე გახდა იური გაგარინი პირველი ადამიანი, რომელიც კოსმოსში გაფრინდა და დედამიწას შემოუარა. გაგარინი, თვალის დახამხამებაში იქცა მსოფლიო მასშტაბის გმირად. მას სახელმწიფოთა მეთაურები სტუმრად იწვევდნენ. ამერიკის მასმედია წერდა, გაგარინი საბჭოთა კავშირის სარეკლამო სახე გახდაო. მისი თბილი ღიმილი ყველას ხიბლავდა.

გაგარინის გაფრენიდან, თითქმის ერთ თვეში, ამერიკელებმა თავიანთი პირველი ასტრონავტი გაუშვეს კოსმოსში. ეს იყო ალან-შეპარდი, მსოფლიოში მეორე ადამიანი და პირველი ამერიკელი, რომელიც კოსმოსში გაფრინდა. ორ ზესახელმწიფოს შორის კოსმოსური რბოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა, რაც, ორივე მხარეს, არერთი რეკორდით აღინიშნა. 1963 წელს საბჭოთა კავშირმა კოსმოსში პირველი ქალი კოსმონავტი ვალენტინა ტერეშკოვა გაუშვა. 1965 წელს, რუსი კოსმონავტი ლეონოვი, პირველად მსოფლიოში, ხომალდიდან ღია კოსმოსში გავიდა. რაც შეეხება, იური გაგარინს, კოსმოსიდან ცოცხალი დაბრუნებული, 1968 წლის 27 მარტს, ჩვეულებრივ საცდელ ფრენას შეეწირა, მხოლოდ და მხოლოდ, დედამიწიდან მიღებული მცდარი ბრძანების გამო.

1969 წელს, ამერიკელმა ასტრონავტებმა, ნილ არმსტრონგმა და ბაზ ოლდრინმა, მთვარეზე დადგეს ფეხი, როგორც პირველმა ადამიანებმა...



**ნუგზარ (ბ) რუხაძე,**
**POSTV**

# დედამიწაზე ორი მასობრივი გადაშენება კოსმოსური მოვლენებით იყო გამოწვეული

**კაცობრიობა ყველაზე ხშირად ყურადღებას ამახვილებს დედამიწაზე არსებულ საფრთხეებზე, მაგრამ საფრთხეები შეიძლება იყოს ბევრად უფრო შორეული ადგილებიდან. აღმოჩნდა, რომ ჩვენს პლანეტაზე ორი მასობრივი გადაშენება შეიძლებოდა მომხდარიყო კოსმოსური ფენომენების გამო.**

**კელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა თავიანთ ახალ კვლევაში აღმოაჩინეს ვარსკვლავური აფეთქებების დროისა და დედამიწის გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებების ნიმუში.**

**მკვლევრებმა გაიგეს, რომ დედამიწასთან ზეახალი აფეთქებების სიხშირე შეესაბამება ორ მასობრივ გადაშენებას, რომლებიც მოხდა 372 მილიონი წლის წინ და 445 მილიონი წლის წინ. მეცნიერები დედამიწის წარსულში ამ მომენტებს უწოდებენ გვიან დევონისა და ორდოვიკის გადაშენებას.**

**გამოცემა წერს, რომ ამ მასობრივი გადაშენებიდან პირველი მოხდა დაახლოებით 372 მილიონი წლის წინ და გამოიწვია ყველა სახეობის დაახლოებით 70%-**



**ის გაქრობა, რამაც შეცვალა წყლის ბალანსი. მეორე გადაშენება მოხდა 445 მილიონი წლის წინ და შედეგად გაქრა ზღვის უხერხემლოების 60%.**

**მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კოსმოსურ აფეთქებებს შეეძლო გამოეწვია დედამიწის ოზონის შრის ეროზია. ამის გამო, ინტენსიური ულტრაიისფერი გამოსხივებამ მიაღწია დედამიწის ზედაპირს.**

**კვლევის დროს მეცნიერებმა დაიწყეს ახლომდებარე მასიური ვარსკვლავების „აღწერა", რომლებიც ცნობილია როგორც OB ვარსკვლავები, მზიდან 3260 სინათლის წლის რადიუსში. შემდეგ მკვლევრებმა გამოთვალეს, რამდენად ხშირად შეიძლება მოხდეს ეს აფეთქებები დედამიწიდან 65 სინათლის წლის მანძილზე.**

**კვლევის ავტორები თვლიან, რომ დედამიწის მახლობლად მდებარე სუპერნოვას შეეძლო გაენადგურებინა ოზონის შრე, გამოეწვია ქიმიური რეაქციები, რაც იწვევს მჟავა წვიმას და ორგანიზმებს მზის მავნე გამოსხივების ზემოქმედებას. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ახალი მონაცემები დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ როგორ მოძრაობენ ელემენტები გალაქტიკაში და გახდება ახალი ციური ობიექტების შექმნის საფუძველი. გარდა ამისა, მკვლევრებმა განაცხადეს, რომ მიღებული მონაცემები ხელს შეუწყობს გრავიტაციული ტალღების დეტექტორების გაუმჯობესებას. ეს ასტრონომებს საშუალებას მისცემს დახვეწონ თავიანთი პროგნოზები კოსმოსში გრავიტაციული ტალღების სიხშირის შესახებ.**

## თეა წულუკიანი:

# სულხან მოლაშვილი ჰყავდათ დილეგში, ევროკავშირის ელჩმა თქვას, კარგია ეს თუ ცუდი, კარგი იქნება, თუ შეწყვეტს ზრუნვას სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობაზე“!




...სტრასბურგის სასამართლოში ვმუშაობდი, როცა მოლაშვილის საქმე შემოვიდა. საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ ეს ადამიანი იყო ნაწამები ციხეში. საქართველოში არცერთი საელჩო, არცერთი უცხოელი – ვითომ არაფერი ხდება, ისე იქცეოდნენ, რადგან სააკაშვილისთვის გზა უნდა გაეწმინდათ აღზევებისკენ. სულხან მოლაშვილი და მისი საქმე, რეალურად, იყო წინაღობა, – ამის შესახებ „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის“ თავმჯდომარემ **თეა წულუკიანმა** კომისიის სხდომაზე განაცხადა.

**„სულხან მოლაშვილის საქმემდე სტრასბურგის სასამართლოს არცერთხელ არ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული იმის თაობაზე, რომ რომელიმე სახელმწიფოსთვის, არამცთუ საქართველოსთვის, დაევალებინა, პატიმარს უმკურნალე ციხეშიო. იმ დროს ასეთი დავალებები გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ დეპორტაციების, გაძევების, ექსტრადიციების შემთხვევაში ან ისეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, როცა, მაგალითად, ოჯახი უნდა გაიხლიჩოს, თუ ქმარს გააძევებენ უცხოეთში და ცოლ-შვილი დარჩება ადგილსამყოფელ ქვეყანაში.**

**სხვა შემთხვევებში ასეთი ტიპის დავალებები არ გაიცემოდა. სულხან მოლაშვილის მდგომარეობა ქაღალდების მიხედვითაც კი იმდენად მძიმე იყო, რომ გარდაუვალი რისკი იყო მისი ციხეშივე დაღუპვის. მაშინ სტრასბურგის სასამართლომ შექმნა პირველი პრეცედენტი, რომ დაავალეს საავადმყოფოში გადაყვანა და ასევე მკურნალობა C ჰეპატიტზე. შემდეგ სულხან მოლაშვილმა ამ თავისი პირველი პრეცედენტით ბევრ პატიმარს გაუხსნა გზა იმისკენ, რომ სტრასბურგში ეჩივლა და იმავე ტიპის დროებითი ღონისძიების დაწესება მოეთხოვა“,** – განაცხადა **თეა წულუკიანმა**

როგორც წულუკიანმა თქვა, ევროკავშირის ამჟამინდელი ელჩის მიმართ მოწოდებაა, რომ შეაფასოს სულხან მოლაშვილის მიმართ მოპყრობა. წულუკიანის თქმით, „კარგი იქნება, თუ ევროკავშირის ელჩი შეწყვეტს სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ზრუნვას“.

**„ასეთი იყო მაშინ უცხოელების ქცევა. მე შემიძლია, მხოლოდ ჩემს კოლეგებთან ერთად შევუერთდე თქვენს მოწოდებას. სულხან მოლაშვილის მამა, რომელიც ყვება წამებაზე, სააკაშვილმა პირადი შურისძიების მიზნით სულხან მოლაშვილს საპატიმროში რომ დამართა, 1 სართულზე ჰყავდათ დამწყვდეული, უჰაეროდ, დილეგში, საჭმლის, სკამისა და საწოლის გარეშე, დაუწვეს ზურგი სიგარეტის ნამწვავებით.**

**ამ დროს რომ არ ეყვირა, თავზე ჩამოაცვეს ცელოფანი და გუდავდნენ, არ უმკურნალეს C ჰეპატიტზე, გარეთ მყოფ ოჯახს აყიდვინეს აგარაკი, გადააცემინეს სახელმწიფოსთვის – გამოვიდეს ევროკავშირის ამჟამინდელი ელჩი და გაგვცეს პასუხი, თქვას მხოლოდ ერთი სიტყვა, კარგია ეს თუ ცუდი. მეტს მისგან არაფერს ვითხოვთ. კარგი იქნება, თუ ის პირადად შეწყვეტს სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ზრუნვას, დარდს“!..**

## თამაზ მოლაშვილი:

# სულხან მოლაშვილი როგორ საკანშიც შეაგდეს, მოჰკიდონ ხელი სააკაშვილს და მიიყვანონ იქ ნახევარი საათით მაინც!

**„სულხანს როდესაც აწამებდნენ, თავადაც ამბობდა, თავზე წამოცმული მქონდა რაღაცო, ამის შესახებ ერთი-ორი თვის შემდეგ ვიგებდით რაღაცნაირად, ვიღაც რაღაც ამბავს გამოიტანდა. თუნდაც C ჰეპატიტზე. ერთი თვე როგორ გავიდა, რომ ჩვენ გაგებაში არ ვიყავით, C ჰეპატიტი ჰქონდა თუ არა. მერე და მერე ისეთი ამბები გამოჰქონდათ, რომ ტირილი კი არა, ზღავილი ამიტყდებოდა ხოლმე. დედა გარდამეცვალა, მამა, ძმა, მეუღლე, ყველა ხომ უბედურებაა, მაგრამ შვილი? მტერს არ ვუსურვებ, ეს სულ სხვა გრძნობაა. ასე გამაუბედურა მაგ მიშა სააკაშვილმა“!..** – ამის შესახებ სულხან მოლაშვილის მამამ **თამაზ მოლაშვილმა** განაცხადა.

თამაზ მოლაშვილს კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანმა მიმართა: **„დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი მიხეილი სადაც ბრძანდება, თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სულხან მოლაშვილისგან განსხვავებით, მას არავინ აწამებს, აქვს ტელევიზორი, სრულფასოვანი პირობები. რა გაქვთ მისთვის დღეს სათქმელი? ალბათ, გვისმენს, სააკაშვილი სადაც არის დღეს და ამდენი წლის შემდეგ, რა გაქვთ მისთვის სათქმელი?“**, რაზეც თამაზ მოლაშვილმა აღნიშნა:

**„სულხან მოლაშვილი უბედურ საკანში შეაგდეს, მოჰკიდონ ხელი სააკაშვილს და მიიყვანონ იქ, შეაგდონ ნახევარი საათით, ხოლო რომ გამოვა, თამაზ მოლაშვილი დახვდეს და უთხრას, აი, ასე ჰყავდათ შენი ბრძანებით სულხან მოლაშვილი, კარგი იყო? ნეტა ასეთი რამ შეიძლებოდეს, რათა მასაც აგრძნობინონ, იქ რა არის, მაგრამ არა, წამოკოტრიალებულია დასასვენებელ სახლში, გემრიელად მიირთმევს, ამას ჰქვია დაპატიმრება? არა მგონია, ეგ დაპატიმრებული იყოს. კეთილი ინებონ და ჩვეულებრივ საკანში გადაიყვანონ, ეყოთ ამდენი მოფერება“.**

ამის შემდეგ თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ თამაზ მოლაშვილს ეთანხმება.




# პოლიტიკურ კეთროვანს არც „აქ“ დაედგომება და არც „იქ“ ილებენ...

**გიორგი გახარია ორ ცეცხლშუა მოექცა. 14 აპრილს საგამოძიებო კომისიაზე მისვლის გამო, მას მთელი ოპოზიცია აუჯანყდა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. აღმოჩნდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა 2 აპრილს დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად დადო შეთანხმება, რომ ისინი საგამოძიებო კომისიაზე არ მისულიყვნენ. ამ საგანგებო ბრიფინგიდან 13 დღეში კი ექს-პრეზიდენტის წინაშე დადებული პირობა პირველი გახარიამ დაარღვია. ყველა ელოდება რა, რეაქცია ექნება თავად ზურაბიშვილს, თუმცა ექს-პრეზიდენტი დუმს.**

**საგამოძიებო კომისიაზე გახარიას დაკითხვამდე პარლამენტში არაერთი ოპოზიციონერი ლიდერი დაიბარეს, რომელთაგან არც ერთი არ მივიდა. ამის გამო მათ ბრალი წაუყენეს, ბირაო შეუფარდეს და პატიმრობა ემუქრებათ. გახარია ერთადერთია ზურაბიშვილის გარშემო შექმნილი ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს შორის, ვინც კომისია აღიარა და მათ მიერ დასმულ კითხვებს პასუხები გასცა.**

**ოპოზიციის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ კომისიაზე მისვლით გიორგი გახარიამ, პირველ რიგში, თვითდაზიანება მიიყენა. მათი აზრით, ის არ არის სანდო პოლიტიკოსი, რომელიც ოპოზიციის ფორმატში ყოფნას იმსახურებს და მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის ერთობის მთავარი პრობლემა გახარიაა. მათი აზრით, გახარიას სიტყვებს გახარიას წინააღმდეგ იყენებს „ქართული ოცნება“ და ამტკიცებს, რომ პოსტი ამერიკის გავლენის ქვეშ მყოფმა პრემიერმა საქართველოში ამერიკის ელჩის მოთხოვნით დატოვა.**

**ყოფილი პრემიერის გუნდში ფიქრობენ, რომ შეთანხმების დარღვევა ღირდა იმ ჩვენებად, რომელიც კომისიას გახარიამ მისცა და აქვე ე.წ. პრეზიდენტ ზურაბიშვილის ფორმატის დატოვებით დაიმუქრნენ. თავად გახარია კი ამბობს, რომ არავის საქმე არ არის, მით უმეტეს ოპოზიციის, რომელსაც საკუთარი გადაწყვეტილებებიც კი ვერ მიუღია, ჰკითხოს, სად მივა.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** for.ge-თან ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ გამორჩეულად ფავორიტი პრემიერი ისეთივე დაღმასვლით მიდის ოპოზიციურ ფლანგზე, როგორც ბუტაფორიული ე.წ. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

**„გახარიას უნდა ოპოზიციურ ფლანგზე საკუთარი თავის ისე წარმოჩენა, თითქოს რადიკალურ ნაცკლასტერს არ წარმოადგენს, თუმცა „ნაცმოძრაობასთან“, სხვადასხვა საკრებულოებში, ალიანსები აქვს შეკრული, მათ დღის წესრიგს ტირაჟირებს და ამ დროს, უნდა, გულწრფელი და სპეტაკი ლიდერი იყოს. ეს ყველაფერი არის ფარსი. ის, რომ გახარია არ არის სანდო და ნებისმიერ წუთს შესაძლოა უღალატოს პოლიტიკურ პარტნიორებს, ეს „ოცნებაზე“ კარგად არავინ იცის. ახლა, როგორც ჩანს, ოპოზიციაშიც მიხვდნენ რა ვირეშმაკობასაც აკეთებს და ამიტომ მის წინააღმდეგ ხმა ამოიღეს. 14 აპრილს, საპარლამენტო კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გახარია არის ცრუპენტელა და ფარისეველი. იმდენად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ჰქონდა და იმდენად ბევრი ტყუილი ილაპარაკა, რომ საბოლოო ჯამში, სულ აიხლართა. პარლამენტარებს აბრალებდა, თითქოს ისინი იტყუებოდნენ. გახარია არის დაუხვეწავი, იაფფასიანი შარლატანი, რომლის ვირეშმაკობები რადიკალურ ოპოზიციაშიც კი მიუღებელი აღმოჩნდა“,** – ამბობს **აბაშიძე**.




ფაქტია, რომ გიორგი გახარია სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების მქონე ადამიანებმა დაგმეს და კომისიაზე მისი სრული ლუსტრაცია მოხდა. მისივე თქმით, გახარიამ საგამოძიებო კომისიაზე ფაქტობრივად აღიარა, რომ ის ამერიკის ელჩის ზეწოლის შედეგად გადადგა. ამერიკის მაშინდელი ელჩის **კელი დეგნანის** გამოქვეყნებული განცხადებიდან რამდენიმე საათში პრემიერის თანამდებობა დატოვა და ასეთი პოლიტიკოსის მიმართ, როგორ შეიძლება ნდობა არსებობდეს?!

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ გახარია ამ სიტუაციიდან, რომელშიც ახლა ოპოზიცია იმყოფება, ხეირის ნახვას ცდილობს. საყვარელიძე for.ge-თან ამბობს, რომ ის დისტანცირდება ოპოზიციის ამ ნაწილისგან, რომელიც ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ჰარაკირს იკეთებს. შესაბამისად, ის პოზიორობს ოპოზიციური ამომრჩევლის წინ და არჩევნებისთვის პირდაპირ წინასაარჩევნო კამპანია აქვს დაწყებული.

**„როგორც ჩანს, ოპოზიციას, რომელსაც მათი უფროსები, დასავლეთიდან უთითებენ, რომ არ ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ აღიარონ პარლამენტი და არ შევიდნენ საკანონმდებლო ორგანოში, რითაც პირდაპირ პოლიტიკურ ჰარაკირს იკეთებენ, გახარიამ გადაწყვიტა, რომ ისარგებლოს. მისი კომისიაზე მისვლის გადაწყვეტილებაც ამით იყო განპირობებული და იმის ჩვენება, თითქოს მას არ ეშინია და ოპოზიციის სხვა ლიდერებისგან განსხვავებით კითხვებს არ გაურბის. ვიცით, რომ იგი „ოცნების“ ყოფილი ამომრჩევლის ხმებით გადის, მაგრამ ამ ხალხის მხარდაჭერა როდემდე ეყოფა, შესაძლოა დაკარგოს და ამიტომ ოპოზიციის ხმებზე ნადირობს.**

**თან ოპოზიციას ეუბნება, რომ თქვენთან ვარ და თან საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია. გილოცავთ!

# ბეწვის ხიდზე




**ასტონ ვილა – პარი სენ-ჟერმენი 3:2**

**პირველი მატჩი 1:3**

პირველ რაუნდში მიღწეულმა ორბურთიანმა უპირატესობამ ფრანგული გრანდის გულშემატკივრებში გადაჭარბებული ოპტიმიზმი გააჩინა. კი ბატონო, ასეთი ფორა სოლიდურია, ლიგა – 1-ში მთელი სეზონის განმავლობაში დაუმარცხებლობაც გასათვალისწინებელია, მაგრამ რატომღაც ბევრს დაავიწყდა მასპინძელთა ესპანელი თავკაცის **უნაი ემერის** პროფესიული ავტორიტეტი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბირმინგემელთა საამაყო ტრადიციები, რომელთა საქომაგოდაც გადაჭედილ ვილა პარკზე სამეფო ოჯახიც მიბრძანდა პრინც უილიამის თავკაცობით.

დიახ, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ინგლისის 7-გზის ჩემპიონს ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი 1982 წელს უკვე აქვს მოგებული და იქ სხვებთან ერთად შესანიშნავი მარცხენა გარემარბი ტონი მორლი ბრწყინავდა. ასე რომ, რევანშის გარდა, ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს მონატრებული წარმატების გახსენებაც სწყუროდათ ისევე, როგორც პრემიერლიგის პრესტიჟის აღდგენა – მანამდე ხომ სტუმრებმა გათამაშების განმავლობაში სიტი და ლივერპული დასცეს. დაგვეთანხმებით, ესეც დამატებითი მოტივაცია იყო, რასაც შინაურ ფრონტზე ვილას ზედიზედ 7 გამარჯვება ამყარებდა.

რაც შეეხება **ლუის ენრიკეს** გუნდს, მე-13 ფრანგული ტიტულის ვადამდე მოხვეჭის შემდეგ ერთკვირიანმა დასვენებამ იგი, როგორც ჩანს, ჩვეული რიტმიდან ამოაგდო და ნორმალური პირველი ნახევრის მერე ფავორიტმა ბეწვის ხიდზე გაიარა.

ყველაფერი გასახდელიდანვე დაიწყო, როცა ჩინებული კონდიციებით გამორჩეული **დუე** მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ბედად, იმ საღამოს შეუდარებელნი იყვნენ დისკვალიფიკაციამოხდილი **მარკინიოსი** და, განსაკუთრებით, **დონარუმა**, ბოლო წამებზე კი პარტნიორები **პაჩომ** იხსნა, რომელმაც ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

ჩვენ, ბუნებრივია, მთელი ყურადღება ხვიჩასკენ გვქონდა მიპყრობილი და, თუ შეხვედრის საკვანძო მომენტებზე ვიტყვით, მეორე საგოლე შეტევა პარიზელებმა სწორედ კვარას გავლით წამოიწყეს, თუმცა ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ მასპინძლებმა ანგარიში მას შემდეგ შეამცირეს, რაც მან ბურთი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგა, საერთოდ კი პირველი მატჩის გმირმა კოლოსალური მოცულობის შავი სამუშაო შეასრულა, რომ იტყვიან, ფრონტის მთელ ხაზზე თავგანწირვით იბრძოდა და შემთხვევითი სრულიადაც არაა, ლუის ენრიკე ბოლომდე რომ ენდო და საფინალო სასტვენამდე შეუცვლელად რომ ათამაშა.

ის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, დორტმუნდის ბორუსიამაც დაამტკიცა, რომელმაც 0:4-ის შემდეგ საპასუხო ჯახი 3:1 მოუგო ტურნირის გამოკვეთილ ფავორიტს ბარსელონას და კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა საბოლოო მოვლენები, 2:0-ზე გერმანელთა მცველ ებესლაინს ავტოგოლით რომ არ ეშველა სტუმართათვის.

მეოთხედფინალების მეორე სათამაშო დღეს გაირკვა, რომ პარი სენ-ჟერმენი 30 აპრილსა და 6 მაისს არსენალს შეხვდება, რომელმაც ტახტიდან სამეფო კლუბი მადრიდში დამარცხებითაც ჩამოაგდო-2:1(პირველი მატჩი-3:0), ხოლო ბარსელონას მეტოქე ნახევარფინალში მილანის ინტერი იქნება მიუნხენის ბაიერნთან შინ ფრის შემდეგ-2:2 (პირველი შეხვედრა-2:1).



გივი თალაკვაძე და სერგეი ბუბკა. 1986 წელი.

# იგი სერგეი ბუბკას ავარჯიშებდა

**ამაგდარ ადამიანთა შორის, რომლებმაც ცოდნითა და ოსტატობით ხელი შეუწყვეს საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საპატიო ადგილი უკავია მძლეოსნობაში თაობათა აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯ გივი თალაკვაძეს.**

60 წელი ემსახურა „სპორტის დედოფალს" ჯერ ფოთში, შემდგომ კი წყალტუბოში. მის დაფრთიანებულთა შორის არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი, რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (IV ადგილი) ალექსანდრე შჩერბინა, რომლის მიერ 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში დამყარებული საქართველოს რეკორდი დღემდე მოუხსნელია.

გივი თალაკვაძე 1926 წლის 19 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირში დაიბადა და გაიზარდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა 1946 წელს ფოთში დაიწყო მუშაობა, იყო ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმისა და სამედიცინო სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი. მან აღზარდა სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრების წევრები სპორტულ სიარულში, რბენასა და ხტომებში, ასევე, მრავალჭიდში – გივი ბუკია, ვახტანგ და სანდრო ქავთარაძეები, ლეილა ფარცვანია და სხვები.

1976 წლიდან გივი თალაკვაძე წყალტუბოში გადავიდა საცხოვრებლად და განათლების სამინისტროს მძლეოსნობის დაოსტატების სკოლის მწვრთნელად მუშაობდა. თალაკვაძის ხელმძღვანელობით დიდ სპორტში აქაც არაერთმა ნიჭიერმა მძლეოსანმა გაიკვალა გზა. საგულისხმოა, რომ 1986 წელს იგი წყალტუბოში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ავარჯიშებდა სახელოვან უკრაინელ ჭოკით მხტომელს, 1988 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს, ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და 35-გზის მსოფლიოს რეკორდსმენ სერგეი ბუბკას. 1988 წელს გივი თალაკვაძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

2002 წელს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის მიერ გამოცემულ წიგნში „საქართველოს ათი საუკეთესო მძლეოსანი სახეობების მიხედვით" (1922-2002 წწ.) გივი თალაკვაძე ექვს ცნობილ მწვრთნელთა შორის დასახელდა. წლების განმავლობაში მისი ნაყოფიერი საქმიანობა არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან მძლეოსნობაში ყოველწლიურად იმართება ამაგდარი მწვრთნელის სახელობის ტურნირი. დამსახურებული ოსტატის მოსწავლეები არ ივიწყებენ გივი თალაკვაძის ღვაწლს და პატივს მიაგებენ მის სახელს.

**ვაჟა დანელია**

# მეორე სუნთქვა



**მას შემდეგ, რაც ბრაზილიელ ლეგიონერებთან დაკავშირებული სკანდალის გამო საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებს მუნდიალის საგზურის მოპოვების რეალური შანსი ჯიბიდან ამოაცალეს, ავთანდილ ასათიანმა მხოლოდ ქართული კონტიგენტით ახალი ბრძოლისუნარიანი გუნდი ასფურცელას ტემპებით შეკრა და ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში გაიყვანა, საიდანაც ფინალურ ტურნირამდე 1 ნაბიჯი-ღა რჩება.**

**მეინ-რაუნდის** დასკვნითი ტურის შეხვედრა ჯვაროსნებმა შინ ფრედ დაასრულეს ჯგუფის ფავორიტ ფრანგებთან-3:3, არადა, თუ მრისხანე მეტოქეს 4 ბურთის სხვაობით მაინც დაამარცხებდნენ, გადამწყვეტ ეტაპზე ავტომატურად თვითონ გადავიდოდნენ (გოლები სვანიძემ, ჯვარაშვილმა და სებისკვერაძემ გაიტანეს). სხვათა შორის, თავიდან 2:0 დავწინაურდით, მაგრამ...

# თასიც, ჩემპიონთა ლიგაც

**სუპერლიგის მოქმედმა ჩემპიონმა ქუთაისმა ქვეყნის თასი აწ უკვე ყოფილ მფლობელ თსუ-სთან მძაფრი ფინალის მოგების შემდეგ შემართა – 83:76, რითაც რევანში აიღო სასპორტო სეზონის სასტარტო ტურნირის – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის სატიტულო ბრძოლაში დამარცხებისთვის.**

გამარჯვებულებს ეროვნული ნაკრების წევრმა ოჩხიკიძემ ულიდერა-21 ქულა, სტუდენტებს კი ფევაძე აკლდათ. იმავე დღეს მორიგი შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა უბერებელმა **გიორგი შერმადინმა**: ჩემპიონთა ლიგა: ტორტონა(იტალია)-ტენერიფე(ესპანეთი) 64:77(საპლეიოფო სერიის ანგარიში 0:2). კუნძულელებს ჩვენმა თანამემამულემ 26 წუთში 23 ქულა და 9 მოხსნა შეაწია, ნახევარფინალი კი თურქულ გალათასარაისთან 9 მაისს გაიმართება.






# საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე ლევილის ქართულ მამულში

**საქართველოს კულტურის მინისტრი, თინათინ რუხაძე და მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანი, საფრანგეთში ვიზიტისას, ლევილის ქართულ მამულში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს და არსებულ საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საფრანგეთსა და საქართველოში მომუშავე პროექტის გუნდის წევრებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე.

ლევილის მამულში შატოსა და მედიათეკის შენობების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი მოიცავს ლევილის შატოს, ასევე, ე. წ. „პოლკოვნიკ წერეთლის სახლისა" და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. პოლკოვნიკ წერეთლის სახლსა და ბიბლიოთეკის შენობაში მოეწყობა მედიათეკა. პროექტს ახორციელებს ფრანგული კომპანია Ser Construction-ი.

ლევილის ქართველთა მამულის ტერიტორიაზე 2026 წლის სექტემბრამდე მოეწყობა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, მედიათეკა, ქართული ოდა, გაშენდება ქართული ვაზი, ფრანგული ბაღი და მოეწყობა ესპლანადა.

ლევილის მამულში ასევე იმყოფებოდნენ: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი კონსტანტინე გამსახურდია, დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი, რომლებიც მამულში დაცული სხვადასხვა პერიოდის დოკუმენტაციასა და წიგნად ფონდს გაეცნენ. საუბარი შეეხო ლევილის მამულში ბიბლიოთეკის მოწყობის საკითხებს.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905 (საკადასტრო კოდი: 01.12.08.021.010.01.905)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 77145.15 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP107528025**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1075280

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი" (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP107528025**; ლოტის ნომერი: 1075280).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 8 აპრილის 12:00 საათამდე.

# სვეტიცხოველში კედლის მხატვრობას საფრთხე არ ემუქრება!

### კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო სვეტიცხოვლის ტაძარში წყლის განმეორებითი ინფილტრაციის თაობაზე განცხადებას ავრცელებს

**22 მარტს სვეტიცხოველში მოხდა წყლის ინფილტრაცია, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა, კერძოდ: მოეწყო ხარაჩო, ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები, ბიოციდის ხსნარით დამუშავდა ლორფინები და საგურველი, საგურველი ლიქენებისგანაც გაიწმინდა.**

ბოლო ეტაპზე იგეგმება სპეციალური ხსნარით ნაპრალების ამოგოზვა, რისთვისაც აუცილებელია რამდენიმე დღე მშრალი ამინდი იყოს. სამწუხაროდ, მეტეოროლოგიური პირობები გაუარესდა და უხვმა ნალექმა ამ დრომდე შეუძლებელი გახადა პროცესის დასრულება.

ამ დროისათვის კედლის მხატვრობას საფრთხე არ ემუქრება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ატარებენ გადაუდებელ სამუშაოებს. მეტეოროლოგიური პირობების გაუმჯობესების შემდეგ კი დაუყოვნებლივ მოხდება ამ პრობლემის სრულფასოვნად აღმოფხვრა.



# ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის ხელმძღვანელი დავით დოიაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა



კულტურის სამინისტრომ „ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის" ხელმძღვანელის თანამდებობიდან **დავით დოიაშვილის** გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

**„ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი" არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.**

**სახელმწიფო პროფესიული თეატრი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სსიპ-ი ანგარიშვალდებულია და აქვს კანონით დაკისრებული მოვალეობა, აღასრულოს მიზნები, რისთვისაც სახელმწიფომ დააფუძნა.**

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხრიდან არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, სამწუხაროდ, „ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის" ხელმძღვანელობა სადამფუძნებლო მიზნებით გათვალისწინებულ ამ ვალდებულებას არ ასრულებდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული უწყვეტი დაფინანსების პირობებში, თეატრში შემოქმედებითი პროცესი თვეების მანძილზე შეჩერებული იყო.**

**აქედან გამომდინარე, კულტურის სამინისტრომ, როგორც სსიპ „ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის" დამფუძნებელმა უწყებამ, მიიღო კანონისმიერი გადაწყვეტილება, სსიპ-ის უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის, თეატრის ხელმძღვანელის, დავით დოიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ",** – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# პოლიციამ აჭარაში მეძავეები და მათი ხელისშემწყობნი დააკავა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პროსტიტუციის ხელშეწყობის და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტებზე მოსამართლის განჩინების საფუძველზე 3 პირი – ჩინეთის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებულ ი.ფ. და ტაილანდის მოქალაქეები: 1972 წელს დაბადებული პ.პ და 1983 წელს დაბადებული ა.დ. დააკავეს.**

**დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს სისტემატურად ხელს უწყობდნენ. კერძოდ, მათ ბათუმში მდებარე მასაჟის სალონებში ფართებს გარკვეული თანხის სანაცვლოდ გადასცემდნენ.**





# აღდგომის სასწაულები

## რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ სახლში დიდი ხნის ნანატრი ბავშვი გაჩნდეს

**წინ არის ყველაზე ნათელი დღესასწაული მართლმადიდებლურ სამყაროში, რომელსაც მრავალი სასწაული მოაქვს. არსებობს რწმენა, რომ თუ აღდგომაზე სურვილს ჩაიფიქრებთ, ის აუცილებლად აგისრულდებათ. მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს სწორად და რა ვისურვოთ, რომ არ შევცოდოთ ამ წმინდა დღეს.**

უძველესი დროიდან აღდგომასთან დაკავშირებული მრავალი რჩევა იყო, ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ ამ დღეს ზეციური კარიბჭე იხსნება და თუ მთელი გულით რაღაცას ისურვებ, ის ახდება. მთავარი ის არის, რომ აზრები სუფთაა და სურვილები სხვა ადამიანებს ზიანს არ აყენებდეს. მაგალითად, დიდი და ნათელი სიყვარულის სურვილი შეიძლება ახდეს. მართლმადიდებლურ სამყაროში მიაჩნიათ, რომ დიდი ფულის წყურვილი ცოდვაა, ამიტომ მერკანტილური სურვილები არ უნდა გქონდეთ. სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ ქრისტეს აღდგომაზე სიმდიდრის მოთხოვნა არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება ქრისტიანისთვის.

მართლმადიდებელმა მღვდლებმა თქვეს, თუ რა სურვილები უნდა ჩაიფიქროთ, რომ ამ ნათელ დღეს უფალი არ განარისხოთ. საკუთარ თავსა და საყვარელ ადამიანებს ჯანმრთელობას თუ უსურვებთ, ძალიან სწორი სურვილი იქნება, ასევე წარმატებები პიროვნებისთვის ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან პროექტში. თუ ერთადერთი ოცნება ამ მომენტში მატერიალური სიმდიდრეა, მაშინ ღმერთს უნდა სთხოვო დახმარება, რომ ფეხზე წამოდგე. კარგი იქნებოდა, საყვარელ ადამიანზე იფიქრო და რაღაც ითხოვო არა მხოლოდ შენთვის.

## საალდგომო კვერცხის ჯადოსნური შესაძლებლობები

**სააღდგომო კვერცხები დღესასწაულის მთავარი ატრიბუტია. მაგალითად, ახალგაზრდა მარტოხელა გოგონას უნდა აჩუქოთ საქორწინო ბეჭდების ნიმუშით მოხატული კვერცხი, რომელიც უახლოეს მომავალში მოუტანს მას სიყვარულს და ოჯახურ ბედნიერებას.**

ადამიანების სურვილებს დიდი ძალა აქვს, მით უმეტეს, თუ მათ სურთ რაღაც საყვარელი ადამიანისთვის და არა პირადად საკუთარი თავისთვის. მაგალითად, წყვილს, რომელიც ბავშვზე ოცნებობს, დასახმარებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შეღებილი სააღდგომო კვერცხი. ძნელი არ იქნება სწორად შერჩეული ნახატის ყიდვა და უბრალოდ შეღებილ კვერცხზე დაწებება, მაგრამ მაინც ჯობია საკუთარი ხელით დახატოთ, რითაც ამ ატრიბუტს დადებითი ენერგიით, სიყვარულით და სითბოთი დამუხტავთ.

სააღდგომო კვერცხი იქნება გზავნილი უფლისადმი, რომელზედაც დახატული იქნება სურვილი. ამისთვის არაფერი გრანდიოზული არ არის საჭირო, მხოლოდ ფუნჯები, საღებავები, კვერცხი და უმაღლესი ძალების რწმენა. არსებობს მოსაზრება, რომ შვილზე მეოცნებე ქალმა უნდა დახატოს სააღდგომო კვერცხი და აჩუქოს ნებისმიერ ბავშვს და მალე ის შეძლებს დედობით ტკბობას.

## აღსდგა, რათა!..

და იმ ღამეს, როცა იშვა მაცხოვარი,
განსაზღვრული იყო უკვე
მისი გზა და მისი კვალი:
ახალ წესრიგს ამყარებდა,
სიყვარულს და სათნოებას ქადაგებდა,
სამოთხისკენ მიმავალ გზას
ზიარებით ამყარებდა
და ჯვარს აცვეს.
ჯვარცმისას კი ჯვარმცმელთ არა,
მამას ჰკადრა:
– ელი, ლამა საბაქთანი
რად დამტოვე ძე შენი და შენი მსგავსი,
თუმც იცოდა, სწორი იყო მამის,
წევრი იყო ერთარსება სამის...

იოსების აკლდამიდან
ამიტომაც აღსდგა მკვდარი,
აღსდგა, რათა ჩამოება
სამოთხეში შესასვლელი
მძიმე კარი...

**ქეთევან გოდერძიშვილი,**
ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, კულტუროლოგი



## «საქართველოს სინფონიეტა» ფინეთის ქალაქ რაუმას წმინდა ჯვრის ტაძარში

**„საქართველოს სინფონიეტა“ ფინეთში გაემგზავრა, სადაც 16 აპრილს ქალაქ რაუმას წმინდა ჯვრის ტაძარში, ბაროკოს მუსიკის კონცერტი გამართა და ანტონიო ვივალდის ნაწარმოებები შეასრულა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტი „ჰელსინკის ბაროკოს ორკესტრის“ მიწვევით და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ქართველ და ფინელ მუსიკოსებს შორის ურთიერთთანამშრომლობა გრძელდება. წელს, ქართველ მსმენელს შესაძლებლობა ექნება, „ჰელსინკის ბაროკოს ორკესტრის“ შესრულებით, 2025 წლის „თბილისის ბაროკოს ფესტივალზე“ ბახის მუსიკა მოისმინოს.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 აპრილს**